

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდეს ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
 ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრფთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
 მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 1—2

1883—1903

1—30 იანვარი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება:** 1903 წელი. დეკ. დ. ლამბაშიძე.—ეკკლესიის მწყემსთა ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება —იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დებუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15 დეკემბერს 1902 წ.—ყოველად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან დღესასწაულობითი წირვა შიო-მღვიმის მონასტერში 21 წარსულ თებერვალს, ყველიერის ზუთშაბათს. დეკ. დ. ლამბაშიძე.—ახალი მღვდლების მსახურების გამო. მღ. ლ. კ—ძე.—უძღვნი თ. კ—დ—ნს, (ლექსი). თ. როსტომ—გუბა ჩიქოვანი.—\*\* (ლექსი)—მისივე.—ეჟურნალ გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.


**სწავლა და მცნეიკება ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კითხლ-წმენობაზე:** სიტყვა, თქმული მოტიქულთა სწორის ნინო ქართველთ განმანათლებელის დღესასწაულის დაისად, ყ-დ სამღვ. იმერ. ეპისკ. ლეონიდის მიერ.—მართლმადიდებლობით —ქრისტიანობის საეკკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება. კაჭახიძე.

**საზირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება:** საეკკლო კითხვების განმარტება.—განცხადებანი

### ძველი 1902 და ახალი 1903 წელიწადი.

ყოველი წლის დასასრულს რაღაც გამოუტყვეველის აღტაცებით ეგებება თითქმის ყოველი კაცი და ჰფიქრობს, რომ ახალი წელი მინიჭებს მას, რასაც ვერ ეღირსა ძველ წელში, ახალ წელში იპოვის მას, რაც დაჰკარგა ძველ წელში. შეგნებული მკითხველი ყოველთვის თვალს გადაავლებს წარსულ

წელს და შეიტყობს, თუ რა სარგებლობა მოიტანა ხალხის ცხოვრებაში ძველმა წელიწადმა. ამ ზნობი რომ გადავავლოთ თვალი ძველ წელს, დავრწმუნდებით, რომ წარსული 1902 წელიწადი—ახალი მეოცე საუკუნის დასაწყისისა, ყველასათვის ერთნაირად საბედნიერო არ ყოფილა. ზოგათათვის იგი უბედური იყო და კიდევ საწყევრად დარჩება ნიადაგ ისტორიაში; ხოლო მცირეთათვის კი საბედნიერო იყო.



გონებრივმა განვითარებამ მეოცე საუკუნემდე ძლიერ წინ წაიწია. მაგრამ, სამწუხაროდ, ზნეობითი განვითარება თანდათან უკან იწევს. 1872 წელიწადია აგერ რაც გაისმის მაცხოვრის მცნება: „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი“. მაგრამ ხალხმა კიდევ ვერ შეიგნო ეს მცნება. იგი მზად არის მიიღოს ქრისტეს მცნება, სახარება, დაიტკბოს სული და გული სახარების სწავლით და მთლად წარმატების გზას დაადგეს, მაგრამ როცა საქმე მიდგება ურთიერთ სიყვარულზე, ძმობაზე და ერთობაზე, მაშინ კი ივიწყებს სახარებას და უპირველეს ქრისტეს მცნებას—მოყვასთა სიყვარულსაც. ძველი დროის ხალხთა გულ-ქვაობის, ძალ-მომრეობის, სუსტთა გაჟღერება-დაჩაგვრის და აოხრების სურათები ისე არ შეგაწუხებთ თქვენ, როგორც ეხლანდელი დროის ასეთივე სამწუხარო სურათები და მოვლენანი. დააკვირდით კარგად, როგორ მეტიჩრობენ თავიანთის განათლებით, კეთილ-ზნეობით, სარწმუნოებით და კაცთა შებრალებით ზოგიერთნი და რას ჩადიან საქმით. გადაავლეთ თვალი ბურების აკლებას და განადგურებას, ჩინელების გაჟღერებას, მაკედონელების და სხვა მრავალ დამორჩილებულ მცირე ტომის ხალხთა, თუ რა უბედურებაში იმყოფებიან, როგორ შევიწროებულნი არიან და ვისგან? ქრისტეანეთაგან. დიად, იმ ქრისტიანეთაგან, რომელთა შორის მწავაჯნი არიან ჩინებულ და მცინებნი რჩეულ. ჭეშმარიტად თქმულა, რომ კაცი გვირგვინია ყოველივე ქმნილებისა, ვიდრემდის იგი გონებით და ზნეობით თანაბრად არის აღჭურვილი, მაგრამ როცა იგი ზნეობით დაცემულია, მაშინ ყოველ ველურ ცხოველზე უსაძაგლესია...

ძლიერ მოტყუვდა ინგლისელი განათლებული კაცი—ბოკლი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ორმოც-და-ათი წლის შემდეგ ომიანობა სრულებით მოისპობაო. არა, ომიანობა, ძალ-მომრეობა და მცირე ტომთა დაჩაგვრა-აოხრება და დევნულება მაშინ მოისპობა, როცა თვით ხალხიც აღარ იქნება ქვეყნად. ვიდრემდის კი ხალხი დარჩება ქვეყანაზე, მათში არასოდეს არ მოისპობა ის სამწუხარო მოვლენანი, რომელთა მოსპობას ასე ადვილად მოელოიან ახალი წლიდან...

მართალია, ძლიერი კაცის თავ-გასულობას ხშირად საზღვარი არა აქვს, მისთვის სუსტთა და უმწეოთა შეწუხება და შევიწროება, სიამოვნებას

შეადგენს; სხვის დაჩაგვრით და დაბეჩავებით იგი კეთილ-დღეობს და სხვის უბედურებით ბედნიერობს, მაგრამ ღმერთი მართლ-მსაჯულია, იგი გასცემს პასუხს და მოსთხოვს ანგარიშს ყოველ მოქმედებისათვის კაცს, იგი აღამაღლებს და დაამხოვს, იგია ყოველ ჩაგრულთა და სუსტთა მფარველი და ნუგეში; ყოველივე ამას ცხადად და აშკარად მოწმობს კაცობრიობის ისტორია...

დავანებოთ თავი ყველა იმ სამწუხარო მოვლენათა, რომელთაც თავი იჩინეს წარსულ წელში და საუკუნო მოსახსენებლად აღინიშნენ კაცობრიობის ისტორიაში. უნდა აღვიაროთ, რომ მთელი იმპერიის სასულიერო წოდებისათვის წარსული წელიწადი კეთილ-მოსაგონებლად დარჩება საეკლესიო ისტორიაში. წარსულ წელში გამოცხადდა ახალი პენსიის დებულება მოხუცებულ, დამსახურებულ სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთათვის. ეს მოვლენა სწორედ შესანიშნავია ჩვენს ცხოვრებაში. სამასი მანეთი 35 წლის მსახურებისათვის მაინცა და მაინც დიდი კი არა არის რა, და ეს ფული უზრუნველ-ყოფილს კი არავის გახდის, მაგრამ მით არის ეს მოვლენა შესანიშნავი, რომ ბოლოს მაინც, მადლობა ღმერთს, იცვენს და დაათასეს მღვდლის სამსახური. არც ერთი კაცის სამსახური ისე საქირო, საძნელო და საპატივო არ არის, როგორც სულიერი მოძღვრისა, მაგრამ ღღემდის ყოველ მოსამსახურეებზე უფრო სამღვდლოება იყო დაჩაგრული. ღღემის შემდეგ, ჩვენის აზრით, ეს ახალი განკარგულება—სიბერის დროს ცოტათი მაინც უზრუნველ ყოფა დამსახურებულ პირთა, წააქვებებს მრავალთა მღვდლად მსახურებისთვის და მეტ სურვილს აღუძრავს. როცა რომელიმე უწყებაში სამსახური არ სრულდება ჯეროვანად, პირველად ყურადღებას მიაქცევენ ჯამაგირების რაოდენობას და თუ შენიშნეს, რომ ჯამაგირები მცირე აქვთ და პენსიაც მცირე ენიშნებათ, მეცადინეობენ მათ გადიდებას. გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ რიგიანი ჯამაგირი და დამსახურებულთა ჯეროვანი პენსია, ყოველთვის აცხოველებს საქმეს და სამსახურიც სასურველად სრულდება. უკანასკნელ დრომდე ეს კანონიერი საშუალება, სამღვდლო სამსახურში თითქმის უარყოფილი იყო და წარმოიდგინეთ, ზოგიერთები იმ აზრისაც არიან, რომ სასულიერო წოდება სულ მუქთად უნდა მსახურებდეს!.. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს შემცდარი აზრი გასწორდა და 35 წლის ნამსახური მღვდელი და მედავითნე უნუგეშოდ აღარ დარჩებიან ამის შემდეგ...

დკპ. დ. დამბაშიძე.



## ეკკლესიის მწყემსთა ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება.

არავისათვის ისე არ არის საჭირო ერთობა, როგორც სასულიერო მოძღვართათვის, არაფერში არ არის იგი ისე გასახარელი, როგორც მათ მოქმედებაში. ამისათვის მოძღვართ მთავარი—ქრისტე განსაკუთრებით ლოცვილობდა მოძღვართა ერთობისათვის და განაკერძოვებდა ამ უკანასკნელს მორწმუნეთა ერთობისაგან (იოან. 17, 11, 20—21). მამამ შეისმინა შვილის ლოცვა. მოციქულები ამ ქვეყნად მოქმედების დროს, აღსავსე იყვნენ ამ წმინდა გრძნობით და განუწყვეტელი კავშირით იყვნენ შეკრულნი ურთ-ერთ შორის. წაიკითხეთ წიგნი— „საქმე წმ. მოციქულთა“ და თქვენ დაინახავთ, თუ რა ერთსულობა სუფევდა მოციქულთა შორის. გაიარა მოციქულთა ხანამ და მოძღვართა შორის ერთობამ იკლო. და არასოდეს არ ყოფილა ვგონებ, ასე სუსტი ერთობა მოძღვართა შორის, როგორც ჩვენს დროში. როგორი დამოკიდებულება აქვს ურთ-ერთ შორის ეხლა სამღვდელთაგან? ძლიერ ცუდი. ეხლა არა თუ ერთი ეპარქიის მწყემსნი არ იცნობენ ერთმანეთს, არამედ ერთი საბლალაოხინოსი და მახლობელი სამრევლოებისაც კი. ეს მოვლენა ყოველის მხრივ სამწუხაროა და ძლიერ ვნებს სამღვდელთაგან. არ დავიწყებთ ამ მოვლენის გაკიცხვას, რადგან სრული დარწმუნებული ვართ, რომ იგი დროებითია, წარმავალი, რომ ეს მხოლოდ „მაცდურებაა ბოროტისაგან“, რადგან, თუ კი საერო მოღვაწენი: ექიმები, მასწავლებელნი, მეურნენი და სხვ. თავიანთ საქმეების მოსაგვარებლად საჭიროდ სთვლიან ერთობით მოქმედებას, მით უმეტეს ეს საფუძვლიანი აზრი, აღრე თუ მალე გააბრწყინვებს მწყემსთა აზროვნებას. გაკიცხვის მაგივრად, ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით იმ სასარგებლო შედეგს, რომელიც მოჰყვება საეკლესიო მწყემსთა საერთო მოქმედებას და მათ მჭიდრო კავშირს ურთ-ერთ შორის.

ცნობილია, რომ მწყემსის მოქმედება იწყება ღვთის-მსახურებიდან ანუ ლოცვიდან,—ლოცვა აქ პირველი საქმეა, როგორც თვითონ მოწაფეებმა სთქვეს: „ჩვენ კი ვილოცვიდეთ“ (საქ. მოც. 7). ღვთის-მსახურება უნდა სრულდებოდეს ტიბიკონი-

სამებრ. მაგრამ, ვინ იცის ტიბიკონი? დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ერთი პირისათვის შეუძლებელია საეკლესიო ტიბიკონის ცოდნა. და, აი სხვა-და-სხვა ეკლესიებში და სამრევლოებში სხვა-და-სხვანაირად სრულდება ღვთის მსახურება და მღვდელ-მოქმედება. ყოველი მოძღვარი, ტიბიკონის უცოდინარობისა გამო, ძლიერ ხშირად თავისებურად ასრულებს ღვთის მსახურებას: ამის გამო უწესოთ სრულდება ღვთის-მსახურება, განსაკუთრებით კი იქ, სადაც განწყობულია, ერთსა და იმავე დროს ახალგაზრდა მღვდელი და დიაკონი. ასეთი უცოდინარობა ბადებს სამრევლოში უკმაყოფილებას და ამცირებს მოძღვარს ხალხის თვალში, რომელსაც უყვარს წესიერი ღვთისმსახურება. ყოველ საბლალაოხინოში კი, გარდა ბლალაოხინისა, არიან ტიბიკონის მცოდნე გამოცდილი მღვდლები, მთავრები და დიაკვნები. მაშასადამე, მწყემსთა შორის რომ მჭიდრო კავშირი იყოს, მაშინ ეს თვალსაჩინო ნაკლი შესწორდებოდა.

მეორე საქმე მოძღვრისა—ქადაგება, ანუ სიტყვის მსახურება. ამ საქმისათვის მიუცილებლად საჭიროა მწყემსთა ერთობა. ქრისტე თავის მოწაფეებს საქადაგებლად ორ-ორს გზავნიდა. ისინი ქადაგებდნენ სახარებას და ყოველთვის ყავდათ თანამგზავნი. თუ კი მოციქულები ქადაგებაში საჭიროებდნენ დახმარებას, თუ კი ჰავდნენ მოციქული „დადიოდა იერუსალიმად და ამისათვის სთხოვდა დახმარებას რჩეულთ, მწვალებლებთან საქადაგებლად“, რაღა თქმა უნდა, რომ თანამედროვე მწყემსთათვის საჭიროა ურთიერთ შორის დახმარება ქადაგებაში. საღვთისმეტყველო განათლების გარდა, მქადაგებლისათვის საჭიროა საქადაგებლო მწერლობასთან გაცნობა. ერთი ერთმანეთს მოწყვეტილმა მქადაგებლებმა ხშირად არ იციან, თუ სად ვინ არის კარგი მქადაგებელი, ან სად უფრო კარგი ქადაგებათა კრებულები მოიპოვება. მაგრამ უმთავრესი კი ის არის, რომ მქადაგებელი უნდა იცნობდეს გასულს და მიმდინარე ცხოვრებას. სახლში მჯდომი კი, როგორც ვიწრო ფარგალში მყოფი, ვერ გაეცნობა ცხოვრებას საფუძვლიანად, ამიტომ მის ქადაგებებს არ ექნება გავლენა ხალხზედ.

მესამე საქმე მწყემსისა—სულიერი მზრუნველობა და მეთვალყურეობა სამწყსოზედ. მწყემსმა უნდა შეისწავლოს თვისი სამწყსო და დაიცვას იგი



მგელთაგან. რა საჭიროა, რომ იცოდეთ ამ საქმეში მწყემსთა შორის ერთობა! მწყემსი მუდამ დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ მისი სამწყსო სუფთაა და არ არის მოწამლული არა წმინდებითა. ეს ცოტაა: მან უნდა იცოდეს, თუ როგორია მახლობელი სამწყსო, ხომ არაფერი ბოროტება იმალება იქ? ამისათვის კი საჭიროა მეზობელ მოძღვრებთან კავშირი. ექიმები სხვა-და-სხვა სენს დასაცველი საშუალებებით ებრძობებიან ხოლმე. ამის და გვარად სულიერი მოძღვარნიც უნდა ცდილობდნენ გარემოცული ბოროტება გაფანტონ, როგორც გადამდები სენი. განა ცოტაა ისეთი მოვლენები ცხოვრებაში, რომელთა ასახსნელად და დასაძლევად სულიერ მოძღვარს სჭირდება თავის ამხანაგთა დახმარება? ერთ-ერთი საშუალება სულიერი მზრუნველობისა— ეს სულიერი მოძღვრობაა. ჩვენს დროში—ეს ცხადია—ცოტაა წესიერი სულიერი მამები. ახალგაზდა მწყემსისათვის განსაკუთრებით საჭიროა დამოკიდებულება უფრო გამოცდილ ამხანაგებთან, რომ ხეირიანი სულიერი მოძღვარი შეიქმნეს.

მწყემსი უნდა ყოველმხრივ განვითარებული და განათლებული იყოს. მას ყოველივეზედ თავის შეხედულება უნდა ქონდეს. ამიტომ იგი მუდამ თავის თვით-განვითარებაზედ უნდა ცდილობდეს. მაგრამ თვითფულისათვის ცალკე ძნელია ცხოვრების ზრდაზედ თვალ-ყურის დევნება, თუ გინდ ჟურნალ-გაზეთებიც ქონდეს გამოწერილი, რადგან ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ ისეთი გავლენა იქონიონ კაცზედ, როგორც ამხანაგთა საუბარმა. სადაც კი ცალკეობას და კარჩაკეტილობას ქონებრივი სისუსტეც ემატება, იქ მწყემსნი სულიერად კვდებიან და უსულო მანქანებად ხდებიან. პირიქით, ერთობა და კავშირი, ხელ-მოკლეობის დროსაც კარგ სამსახურს გაუწევს მოძღვართა თვითგანვითარებას. ერთი-ერთმანეთში მორიგებით მოძღვართ შეუძლიათ სხვა-და-სხვა სასარგებლო წიგნები გამოიწვიონ და მერე ერთი-ერთმანეთს გაუცვალონ და წაკითხულ წიგნებზედ თავიანთი აზრი გაუხიარონ.

რამდენი სულიერი აღშოთაება და გაჭირვება უნდა გადაიტანონ მწყემსებმა! რის დროსაც საუკეთესო ნუგეში მათთვის მხოლოდ ურთერთ შორის სიყვარულობაში და ერთობაშია.

შემდეგ. „დიდ სახლში არის ქურჭელი, როგორც ოქროსი, ისე ვერცხლისა და თიხისა“, აგრე-

თვე მოხლენიც—ოქროსი, ვერცხლისა და სხ. არიან მწყემსნი—მხნეთ მომქმედნი და სუსტნი, დაცემულნი. ვინ უშველის მათ, გაამხნევეს და უწინამძღვრებს? ეპისკოპოზი შორს არის, ხან-და-ხან არც ბლალა-ჩინია ახლოს. აი სწორედ ასეთ შემთხვევებში არის საჭირო მწყემსთა ერთობა. საერო მოღვაწეთ აქვთ შედგენილი ამხანაგობანი და სამსჯავრონი. ამხანაგთა მსჯავრის უფრო ეშინათ მათ, ვიდრე ოფიცი-ალური სასამართლოსი. ასეთ სასამართლოს სამღვდელთა წრეშიდაც დიდი გავლენა ექნება და ერთი ორად გააორკეცებს მწყემსთა ენერგიას.

რამდენადაც მწყემსთა უამხანაგობა ცუდად მოქმედებს სამწყსოზედ, იმდენად მათი ერთობა ახარებს ამ უკანასკნელთ. ჩვენ პატივს ვსცემთ მოციქულებს მათი ქადაგებისა, ცხოვრებისა და მოქმედებისათვის, აგრეთვე მისთვისაც, რომ ისინი ერთი-ერთმანეთის სიყვარულით ემსახურებოდნენ ქვეყანას. „სიყვარულის კავშირით შეერთებულნი“—ო, უგალობს მათ დღეს წმ. ეკკლესია. ჩვენ კი მოძღვრებს, შეიძლება ცხადად არც კი გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა ზნეობრივი ზედგავლენა აქვს სამწყსოზედ ჩვენს ერთობას. ერთხელ ამ სტრიქონების დამწერს მოუხდა ლაპარაკი იმაზედ, რომ კარგი იქნებოდა ჩვენ მწყემსთათვის ხან-და-ხან კრებების და საუბრების გამართვა. ერთმა მსმენელთაგანმა—ქალმა სიხარულით წარმოსთქვა: „ძლიერ დიდი სიამოვნებით ივლიდნენ მაგ კრებებზედ გარემონიც!“ „აი ამიტომ კარგია მწყემსთათვის ერთობაში ყოფნა, რომ უფრო დაიხლოვონ სამწყსო და მონახონ მათ შორის თანამგზავნი თავიანთ მსახურებაში, როგორც მოციქულები შვრებოდნენ, რომელთაგანაც დღეს მგონი, კვალიც აღარ დარჩენილა“...

მაგრამ, როგორ მივალწიოთ, როგორ გამოვიწვიოთ მწყემსთა შორის ერთობა? საკითხი სერიოზულია. ვინ და რამ უნდა გაუღვიძოს მოძღვართ ერთობის სურვილი? ჩვენი აზრით, ამის შესახებ უნდა იზრუნოს პირველ ყოვლისა სამღვდელოებამ. სასულიერო დაწესებულებებმა უნდა ისე აღზარდონ თავისი წევრნი, რომ მათში ძლიერი იყოს მიდრეკილება ერთობისა და ძმობისადმი. აგრეთვე სასულიერო სკოლამაც უნდა შთაუნერგოს მოზარდთაგან იგრევე. თუ კი კერპთ-თაყვანის მცემელთა და ძველი საბერძნეთის სკოლები აღწევდნენ ამ მიზანს, როგორც ამას მოწმობს ბასილი დიდის, გრიგორი



ლეთის-მეტყველის და იოანე ოქროპირის ცხოვრება, —მით უმეტეს უნდა აღწევდნენ მასვე თანამედროვე სასულიერო სკოლები. სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთ, ცხოვრებაში შესვლის დროს, მარტო თავის ამხანაგთა ფოტოგრაფიული სურათები კი არ უნდა მიქონდეთ, არამედ ჭეშმარიტი ამხანაგური სიყვარული და მზად უნდა იყვნენ ყოველივე გაჭირვებაში ძმურად გაუწოდონ ერთი ერთმანეთს ხელი.

ცხოვრებაში სამღვდლოებას უნდა თავს უყრიდეს და აერთებდეს ახლობელი მთავრობა, ე. ი. ბლალოჩინები. ბლალოჩინი ვალდებულია კანონით და განსაკუთრებული ხელ-წერილით, წესიერებას იკავდეს მისდამი მინდობილ სამწყსოში. ბლალოჩინის მხნე და უანგარო სამსახურს ძლიერ ადვილად შეუძლია საბლალოჩინოს მწყემსთ შთაუწერგოს ერთობისადმი მიდრეკილება. მაგრამ ყოველივე ამის დავალება არ შეიძლება ბლალოჩინზედ... იმის ძალა არ არის საკმარისი ამისათვის... უნდა ყოველმა მწყემსმა დაუტოვოს ამპარტავნობა და ერთობისა და ძმობისადმი ივლტოდეს. ხალხს ერთი-ერთმანეთისაგან აშორებს, ამპარტავნობა და ვიწრო კერძობა. ახლად განწესებულ მოძღვარს არ სურს, რომელიმე მეზობელ მოძღვართან წავიდეს— „რა საჭირო არიან ისინი ჩემთვის?“ ამის მიზეზით არც უფროსი მოძღვრები მიაკითხავენ ხოლმე ახლად განწესებულს... ნუ დაიზარებს ახალგაზრდა მწყემსი ახლობელ—მეზობელ მწყემსთა გაცნობას, ისინი კი თავიანთ მხრივ ამ ახალგაზრდის ნახვას; ნუ მიიღებენ სახეში მის ახალგაზრდობას ან სიღარიბეს, არამედ ძმურად დაარიგონ იგი და უწინამძღვრონ მას.

დასასრულ, მწყემსთ აქვთ კიდევ ერთი საშუალება ურთი-ერთ შორის დამოკიდებულების განმტკიცებისა და ერთობის დასამყარებლად. სახეში მაქვს ყოველ ეპარქიაში არსებული ეპარქიალური ორგანო. ეპარქიალური ორგანოს არა ოფიციალური ნაწილი—ეს ხმა, აზრი, შეხედულება, სურვილები და საჭიროებაა ადგილობრივ მწყემსთა: ყველას თავისუფლად შეუძლია გამოთქვას თავის გულის ნადები. რასაკვირველია, ბეჭდვითი სიტყვა თხოულობს დაფიქრებას, გულწრფელობას და თავის რწმენათა სიმტკიცეს, მაგრამ, ეს ხომ აუცილებელი პირობაა ჭეშმარიტი ერთობისათვის.

**იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15 დეკემბერს 1902 წ.**

როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატებს ჰქონდათ რიგის კრება, სასულიერო სასწავლებელთა საქმეებისა გამო დეკემბრის თვეში. ეს კრება სამღვდლოების კრებების დაწყებიდან მე-42-რე იყო. ყველა წინადადება, რომელიც ამ კრებას უნდა განეხილა და გარდაეწყვიტა, დეპუტატებს წინდაწინ ჰქონდათ გამოცხადებული და ამისთვის სამღვდლოების კრების გადაწყვეტილება ამა თუ იმ კითხვაზედ, რასაკვირველია, ყოველის მხრით მოფიქრებული და აწონ-დაწოილი უნდა ყოფილიყო.

16 დეკემბერს დეპუტატების საკმაო რიცხვი შეიკრიბა კრების გასახსნელად, პირველად, რასაკვირველია, დეპუტატებში კითხვა აღიძრა კრების თავმჯდომარის არჩევაზე. დეპუტატების უმეტესმა ნაწილმა თავმჯდომარედ დაასახელა დეკ. დ. ლამბაშიძე, დაასახელეს აგრეთვე დეკ. იოსებ ჭეიშვილი. მოხდა დაფარული კენჭის ყრა. კენჭის ყრით დიდის უმეტესობით, თავმჯდომარედ აღრჩეულ იქმნა დეკ. დ. ლამბაშიძე და საქმის მწარმოებლად, ერთხმად აღრჩეულ იქმნა მღვდელი არტემ ბოჭორიშვილი. თავმჯდომარის დამტკიცების შემდეგ, კრებაში შემობრძანდა მათი მეუფება იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. მათმა მეუფებამ აკურობა კრება და მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დეპუტატებს. განუმეორა ყველა წინადადებანი სასულიერო სასწავლებლების და სხვა საბაასო საგნების შესახებ და უბრძანა კრებას, ყველა წინადადებაზე გარდაწყვეტილი აზრი დაედგინათ; განსაკუთრებით, გარდაწყვეტილი აზრი გამოეთქვათ ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის შესახებ, რომლის მდგომარეობა მეტად მოუხერხებელია. მათმა მეუფებამ სასიამოვნო მოგონად ჩასთვალა ის, რომ უმეტესი ნაწილი დეპუტატებისა სემინარიელებია და მათგან, რასაკვირველია, მოითხოვება რიგიანი მსჯელობა ყოველ საგანზე. მიაქცია კრების ყურადღება ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გაყოფისა, საეპარქიო სასწავლებელთან პანსიონის აშენების საქმეს, აგრეთვე სანთლის ქარხნის საქმეთა და სანთლის წარმოებას. „ამას წინად, ბრძანა მათმა მეუფებამ, ჩემის თავმჯდომა-



რობით სხდომა გვქონდა თქვენგან დანიშნულ კომიტეტის წევრებს, ერთად ყველა ბლალოჩინების თანდასწრებით. იქ ერთხმად აღიარეს სანთლის წარმოების საქმის გასაუმჯობესებლად: 1) რომ ხუთი ათასი მანეთი შევსებულიყო ეკლესიებიდან სესხებითი სახით სანთლის ცვილის სასყიდლად, რადგან საჭირო ფული სანთლის ქარხანას არა აქვს, 2) სასარგებლოდ იცნეს, რომ წელიწადში ორგზის წაღებულიყო სანთელი ქარხნიდან ყველა ეკლესიებისაგან, რომლისა გამო სანთლის ქარხანა ერთხმად აიღებდა 12 ათას მანეთს და ამით გაიადვილებდა სანთლის ცვილის მოპოვებას. ორი შაურის სასყიდელი, რომელიც წინეთ ჰქონებოდათ დანიშნული სტაროსტებს, მოესპო მათ, რადგან ეს სარგებელი კანონს გარეშეც იყო და უსარგებლოც, თუ სტაროსტა ცოტ-ცოტას იყიდდა სანთელს ქარხნიდან; ორ-ორი შაური დანიშნა ბლალოჩინებისათვის; რომელნიც ვალდებულნი შეიქმნენ სანთლის მოტანაში და დარიგებაში. მათ უნდა მოეკრიბათ ფულები და გაეგზავნათ საჭირო სანთლები ეკლესიებისათვის. ზოგიერთებს ეს განკარგულება ძლიერ უკანონოდ უცნია და ცუდი სიტყვების თქმაც უკადრებიან და ისიც სახალხოდ. ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს ზოგიერთების ასე მოუფიქრებლად მსჯელობა. ეს ღონე, ეს ზომა ნახმარი იყო დროებითად, გამოსაცდელად და საზოგადოდ, იმ კრებამ ერთხმად იცნო ეს საშუალება სანთლის საქმის გასაუმჯობესებლად და თუ ეს ზომა სანთლის საქმეს არ გააუმჯობესებს, შეიცვლება და რაც აჯობებს ის დამყარდება. მე ვვარაუდებ, ყველა თქვენგანი შენიშნავდა, რომ ეკლესიებში ყოველთვის არ არის სანთელი და არ არის იმიტომ, რომ სტაროსტა, რომელსაც ხშირად ფული არა აქვს, სამი და ხუთი გირვანქა სანთლისთვის ვერ მოდის რაჭიდან და სხვა დაშორებულ ალაგებიდან, და მსურველთ ყველა ხარისხის სანთელი არ შეუძლიათ იშოვონ თავის ეკლესიაზედ, და ეს კი ძლიერ აბრკოლებს სანთლის გავრცელების საქმეს. ჩემის მინდობილობით, კანცელარიის მდივანმა შეადგინა პროექტი სანთლის ქარხნის საქმის წარმოების შესახებ; აი ეს პროექტიც; განიხილეთ იგი, თუ ნახავთ, რომ კარგად არის შედგენილი, მიიღეთ და ისე დააყენეთ სანთლის ქარხნის საქმე, და თუ არ დაინახავთ სასარგებლოდ, შესცვალეთ იგი და როგორც აჯობოს, ისე დააწესეთ.

ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ იმისთანა რამეს არ გამოვიგონებთ, რომელიც სხვაგან არ ყოფილიყოს. ჩვენ სახეში უნდა მივიღოთ ყველა ის კანონები, რაც სუფევს სანთლის ქარხნის საქმის წარმოების შესახებ სხვა ეპარქიებში და ისე მოვიქცეთ, როგორც სხვაგან აწარმოებენ“.

ზოგიერთმა დებუტატებმა მოახსენეს მათ მეუფებას, რომ დიდად საზარლოდ დარჩება, თუ ბლალოჩინებმა მიიღეს სანთლის ზიდვა ქარხნიდან და არა სტაროსტებმა. სტაროსტები თუ რამეს აკეთებდენ, იმ ორი შაურის გულისთვის, რომელიც მათ ჰქონდათ დანიშნული, თორემ ეხლა სულ თავი მიანებეს და აღარც კი გვეკარებოდა ეკლესიაზედ. სხვათა შორის დებუტატმა, მამა არტემ ბოკორიშვილმა განაცხადა, რომ მე მაგალითად, ვდგევარ ისეთ ადგილას, რომ სანამ ბლალოჩინთან მივიდოდე, ორჯელ ჩამოვალ ქუთაისშიო. მათმა მეუფებამ ბრძანა, რომ ეს ნამეტანი გაზვიადებული მიზეზიაო. თქვენი ბინილამ ბლალოჩინის სადგომამდე რაღაც თორმეტი ვერსი არის და ქუთაისამდის კი—60 ვერსიო და როგორ მოვა კაცი ქუთაისში ორჯელო. ამასთან ბრძანა მათმა მეუფებამ, როგორც აღმოჩნდა, თქვენს საბლალოჩინოში სულ რაღაც ორი ფუთი სანთელია წელიწადში წაღებული და იქაურ ეკლესიებზე არაფერი არ ითქმის... ყოველად სამღვდელთა აკურთხა კრება და წაბრძანდა.

16 დეკემბერს ამით გათავდა ყველაფერი და დებუტატები მეორე დღის 8 საათზე იქმნენ დაბარებულნი.

**ყოველად სამღვდელთა იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან დღესასწაულობითი წირვა მიმდევრების მონასტერში 21 წარსულ თებერვალს, ეველიერის ხუთშაბათს.**

(გაგრძელება \*)

სამწუხაროდ ჩვენ ხელთ არ გვქონდა დაწვლილებითი ცნობები ახლად განახლებული შიომღვიმის უდაბნოს შესახებ, დღეს იგი შეკრებილი გვაქვს და ამისათვის განვაგრძობთ ჩვენს დაწყებულ სტატიას ამ უდაბნოს შესახებ.

\*) იხ. „მწეველი“ № 18 1902 წ.



მონასტრის განახლება და აღდგინება ძლიერ ძნელი საქმეა, რომელიც დიდ ფასსა და მუშაობას თხოვლობს. მაგრამ ყოველად სამღვდლო აღექსანდრე, რომელსაც ცხოვრების მიზნად დასმული აქვს ამ წმინდა ადგილის აღდგინება, არ ზოგავდა და არც ზოგავს არაფერს ამ კეთილი აზრის სისრულეში მოსაყვანად. ყოველად სამღვდლო აღექსანდრეს მსცოვან თანამემწედ გამოუჩნდა თავისი ძმისწული ყოველად სამღვდლო ლეონიდე, ეპისკოპოზი იმერეთისა, რომელიც 1898 წლიდან ამ უდაბნოს წინამძღვრად ითვლება. ყოველივე, რაც განახლდა და აშენდა შიომღვიმის მონასტერში, კეთდებოდა და კეთდება ყოველად სამღვდლო ლეონიდის ხელმძღვანელობით. ექვს გარეშეა, რომ ყოველად სამღვდლო ლეონიდე შემდეგში განაგრძობს ყოველად სამღვდლო აღექსანდრესაგან დაწყებულ საქმეს, იმის და გვარად, როგორც წმიდა ევაგრიმ განაგრძო მონასტრის განახლება, რომელიც მისი წმინდა მოძღვრის შიომღვიმელისაგან არის დაარსებული.

ყოველად სამღვდლო აღექსანდრეს მხნეობით, რომელიც ამ მონასტერს ახმარებდა 3000 მანეთამდე, ყოველ წლობით მიტოვებული და დაცარიელებული სავანე განახლდა და აყვავდა.

ყველაზედ ადვილი და მოხერხებული გზა მონასტერში რკინის გზის ლიანდაგის ბაქნიდან მიდის, რომელიც მოაწყო რკინის გზათა სამმართველომ, ყოველად სამღვდლო აღექსანდრეს შუამდგომლობით, მცხეთისა და ქსანკის სადგურებ შუა. გაივლიან თუ არა მლოცველები ბაქნიდან მცირედენ მანძილს, მიადგებიან მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს, სადაც მონასტრის ბორანზედ გავლიან მარცხენა ნაპირზედ. აქ გაშენებულია მონასტრის საოჯახო შენობები—ბედელი, საბძელი, კალო და სააგურე ქარხანა, სადაც აკეთებენ კრამიტებს და აგურებს მონასტრის შენობებისათვის. იქვე პატარა ვენახია, რომელიც ყოველად სამღვდლო აღექსანდრეს ძმის, აწ განსვენებული სილიბისტრო ბერ-მონაზონისაგან არის გაშენებული. აქედგანვე მიდის მონასტრისაკენ კარგად მოწყობილი საურმე გზა. პატარა შეღმართზედ ავლის შემდეგ, მგზავრის წინ იშლება მინდორი ჩიგვნარით მოფარული, გზაზედ ალაგ-ალაგ ჩირგვებ ქვეშ მოწყობილია სკამები მლოცველთა დასასვენებლად. რამდენად

უახლოვდებით მონასტერს, იმდენად გზა ვიწროვდება და მგზავრი ხიდზედ გასვლის შემდეგ ვიწრო ხევში შედის. გზის ორივე ნაპირებზედ ტყეა გაშენებული, რაიცა ამ მღვიმეს ამშვენებს.


ამ მღვიმეში, ციცაბო კლდეზედ აგებულია პატარა ეკლესია წმ. შიოს სახელობაზედ; გარდმოცემა არის, რომ, ვითომ ეს ის ადგილია, სადაც პირველად იღვწოდა ღირსი შიო; ეს ეკლესია ახლად შეხურულია და შეღებილი 1901 წელში, ერთი ბერ-მონაზონის საფასით: ამ ეკლესიის აღმოსავლეთის მხრით უჩვენებენ იმ გამოქვაბულს, სადაც სცხოვრობდა ღირსი შიო. კლდის ძირში დასობილია ხის ბოძი, რომელზედაც კიდია ხატი ღირსი შიოსი და შემდეგი ზედ-წარწერაა ქართულ და რუსულ ენაზედ: „წმინდა ადგილი ღირსი შიოს პირველი მოღვაწეობისა და ყოველად წმიდა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის გამოცხადება“; აქვე მიწაში ჩაფლულია ქვევრი, რომელიც შიო-მონასტრის წყაროს წყალს ასხავენ მლოცველთათვის. შემდეგ მგზავრი მიადგება წყაროს, რომელსაც ქართულად „ცრემლის წყარო“ ეწოდება. გარდმოცემა არის, რომ ამ ადგილას, ერთ-ერთ მონასტრის ბერს, ღირსი შიოს დროს, მოჰქონდა მტკვრიდან წყალი, უეცრად ეშმაკის მანქანებით წაუბორძიკდა ფეხი და წყლით სავსე ჭურჭელი გაუტყდა და დაიწყო ტირილი; მაგრამ ღირსი შიოს ლოცვით, კლდიდან დაიწყო დენა წყალმა და მას აქეთ მტკვარზედ სიარული აღარ უხდებოდათ ბერებს. წინანდელი პატარა ხის ფარდულის მაგივრად, 1900 წ. პატარა ოთახია აშენებული აგურიდან; ერთმა კეთილ-მორწმუნე ქვის მთლელმა რახმაძემ შესწირა სამი დიდი ქვა ალგეთის ჯიშისა, ორი ქვა ქართული და რუსული წარწერით, რომლითაც შემომწირავის სახელი იხსენიება, გარედგან არის დადებული და კარების ჩარჩოთ ითვლება, მესამე ქვა კი, ჯვრით ამ ორ ქვას ადგია თავზედ; ამ ქვაზედ ამოქრილია ლამაზი ასოებით ლოცვა ქართულად: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ“. ამ ოთახში მიწაში არის ჩაფლული ქვევრი, რომელსაც „ცრემლის წყაროს“ უწოდებენ და რომელშიდაც წვეთობით იკრიბება წყალი. ეს ერთად ერთი წყაროა მონასტერში. ისტორია იხსენიებს კიდევ მეორე წყაროს, რომელიც იყო გამოყვანილი მო-

ნასტერში მიტროპოლიტ ანტონი ჯყონდიდელის ხარჯით ერთი ადგილიდგან, რომელსაც ეწოდება სხალტბა, სოფ. მუხრანის მიდამოებში; მაგრამ ეს წყარო ეხლა შემწყდარია. ერთ დანგრეულ კედელთან გავლის შემდეგ, მგზავრი შედის მონასტრის წინა შესავალში; პატარა შეღმართი კიდეც და მგზავრი მონასტრის გზის შუა გულშია.

მონასტერში ორი ტაძარია. პირველი ტაძარი იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის სახელობაზეა, ორი მოშენებული საკურთხევლებით სამებისა და ღირსი შიოს სახელობაზე; ეს ტაძარი, რომლის სიგრძე 13 საჟენია, სიგანე 4 და სიმაღლე გუმბათის ჯვრამდე 10 საჟენი, აშენებულია ქართველი მეფის ფარსადანისაგან უთლეელი ქვით. ის რამოდენიმეჯერ იყო განახლებული; ამას წინაღობის განუახლება თავად გივი ამილახვარს, როგორც კედლის წარწერიდგან სჩანს. გარედგან ეს ტაძარი გადახურულია კრამიტით, გუმბათი დახურულია თეთრი რკინით 1898 წელში; 1899 წელს ის შელესეს გარედგან გაჯით და მოახატვინეს ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარს ნ. ე. ანდრეევს, 1901 წ. მისში ეს ტაძარი აკურთხა ყოვლად სამღვდლო ალექსანდრემ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა. მოგვყავს დაწვლილებითი აწერილობა ტაძრისა. კანკელი (იკონოსტასი) აყვანილია აგურით; კანკელზე შემდეგი ხატებია: მაცხოვრისა, ივერიის ღვთის-მშობლისა, იოანე ნათლის მცემლის თავი ლანგარზედ, აღსავლის კარებზედ ოთხი მხარებელი და ხარება, ჩრდილოეთის კარებზედ ხატი არქიდაკონისა და პირველ მოწამე სტეფანესი; იკონოსტასის თავზედ საიდუმლო სერობაა და მის ზემოდ ჯვარი. იკონოსტასის ქვემო ნაწილში ჩასმულია სამი მტრედის ფერი ქვა, ერთზედ ამოჭრილია იესო ქრისტეს ჯვარცმა, მეორეზედ—სვეტი ცხოველი და მესამეზედ ღირს შიოსთან ევაგრის მოსვლა, რომელიც შემდეგში მისი მოწაფე გახდა; ხატებს ჩარჩოებად მტრედის ფერი ქვები აქვთ, რომლებიც წინანდელ იკონოსტასზედ არიან ამოღებულნი. საკურთხეველში ოქროსფერ თაღ-

ზედ დახატულია უფალი ჩვენი იესო ქრისტე; მის მარჯვნივ კი ღვთის მშობელი, მარცხნივ წმ. იოანე წინამორბედი. მერე დახატულნი არიან: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე ოქროპირი, გრიგორი ორმეტყველი, ნეოფიტე ურბნელი, იოსებ და აბო ალავერდელი, ისე წილკნელი და სასწაულთმოქმედი ნიკოლოაზი. გუმბათის ოქროსფერ თაღზედ დახატულია ცხოველმყოფელი სამება და წმიდა მოციქულები; სამხრეთის თაღზედ დახატულნი არიან: წმ. ესტატე მცხეთელი, მიხეილი (გობრონი), ბიძინა, შალვა, ელიზბარ და ღირსი დოდო და თადეოზი; ჩრდილოეთის თაღზედ დახატულია წმ. აბო თბილელი, აბიბონეკრესელი, ლიაკონი ილია, სიმეონ მესვეტე, მოწამე რაჟდენი, მეფე კონსტანტინე და დედოფალი ელენე; შუა თაღზედ გამოხატულებაა ჯვრისა, ალექსანდრე ალექსანდრიელისა და მოწამე ლეონიდისა. იკონოსტასის გაგრძელებულ კედელზედ დახატულია წმ. მთავარ მოწამე გიორგი; სამხრეთის კედელზედ დახატულნი არიან: ღირსი იოანე ზედაზნელი და ანტონი მარტყოფელი, ღვთის მშობლის და წმ. იოანე ნათლისმცემლის გამოცხადება ღირს შიოსთან, დავით გარეჯელი, გიორგი, წმ. წიგნთა მთარგმნელი, მეფე ლუარსაბი, არგვთის მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე, დედოფალი—მოწამე შუშანიკი და მოწამე—ყრმა იოსები. კანკელის ჩრდილოეთის კედელზედ დახატულია წმიდა მოციქულთ სწორი ნინო, შემდეგ ჩრდილოეთის კედელზედ დახატულნი არიან: წმ. იოანე, ვეთიმე და გაბრიელ იათონელები, ღვთის-მშობლის გამოცხადება, ღირსი შიო, ილარიონ ქართველი, მეფე არჩილი, დავით აღმაშენებელი, დედოფალი—მოწამე ქეთევანი და მოწამე ყრმა ისააკი.

(შემდეგი იქნება)





## ახალი მღვდლების მსახურების გამო.

ამ უკანასკნელ დროს ხშირად ისმის სხვა-და-სხვა მხრიდან საყვედური ჩვენ სამღვდლოებაზე და განსაკუთრებით ახლად ნაკურთხ სემინარიელ მღვდლებზე, რომ ვითომც არავითარი საზოგადო და სასარგებლო საქმე არა კეთდებოდეს მათგან. კერძოდ ამისთანა საყვედურს აცხადებდა ერთი მაზრის სემინარიელ მღვდლებზე წარსულ წელს გაზ. „ცნობის ფურცელში“ ვინმე მერკვილაძე. სამწუხაროდ ჩვენდა უნდა აღვიაროთ, რომ მართლაც უმეტესობისაგან წირვა-ლოცვის მეტი არაფერი არ სრულდება მაშინ, როდესაც ჩვენ, როგორც აღჭურვილნი საქმაო ცოდნით ჩვენი მოწოდებისათვის, უნდა ყოველ საშუალებას ვხმარობდეთ, რომ ყოველი ჩვენთაგანი გამოდიოდეს საზოგადოებაში არა მარტო წირვა-ლოცვის შემსრულებლად, არამედ ნამდვილ გულ-შემატკივრად ჩვენი ხალხისა და თავდადებულად მათის ზნეობრივი და გონებრივი წარმატებისათვის, რასაკვირველია, რამდენადაც ეს ჩვენ უფლებაშია. წარსული წელი ჩვენი იმერეთის სამღვდლოების ცხოვრებაში უნდა აღინიშნოს სხვათა შორის მით, რომ არ ყოფილა მაგალითი, ამოდენი ახალგაზრდა სემინარიელი მიმატებოდეს მოკლე დროს განმავლობაში სამღვდლოების რიცხვს. ყოველად სამღვდლოს რევიზიიდან დაბრუნებისა, დღემდეც არ შემდგარა სემინარიელთა სამღვდლო აღდგილზე განწესება. უნდა იფიქროს კაცმა, რომ ეს ახალგაზრდა მოძღვარნი, მხნენი ჰასაკითა და მომზადებულნი გამოიჩინენ ღვაწლს თვისის სამწყსოს წარმატების საქმეში, არ დახშავენ მიღებულ სწავლავანათლებას, არამედ მოიხმარებენ ხალხის საკეთილდევად. რასაკვირველია ამ რწმენით ხელმძღვანელობდა ყოველად სამღვდლო ლეონიდი, როდესაც მეცადინეობდა, რომ ახალგაზრდა მოძღვარნი, შესაფერი სწავლით აღჭურვილნი, გაემრავლებია თავის ეპარქიაში. ყოველად სამღვდლოს გარდა, ყველა ხალხის ზნეობრივ და გონებრივ გულ-შემატკივარსაც ესევე რწმენა ჰქონდა და მოელიან, რომ ჩვენ ჯეროვან და საჭირო შრომას არ დავიშურებთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ვშიშობ, რომ ამნაირი რწმენა ჩვენზედ არ ასრულდება. ვშიშობ იმიტომ, რომ

მაინცა და მაინც დიდ ნაყოფს ვერ ვხედავთ ჩვენზე წინ საეკლესიო და საზოგადო ასპარეზზე გამოსულ სემინარიელთა ცხოვრებაშიაც, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო. ამიტომ ამ ჩვენის საქმის გამორკვევისათვის საჭიროა ამ მიზეზთა გამოკვლევა; საჭიროა, ერთის მხრით მისთვის, რომ ვინ იცის, იქნებ ჩვენი თანამოძმენი სრულებით არ არიან დანაშაულნი ამ შემთხვევაში, და მეორეს მხრით, უკეთეს ჩვენ დავინახავთ ჩვენს დანაშაულობას, მაშინ ვალდებული ვართ, ვიმეცადინოთ ამ მიზეზთა მოსპობისათვის.

ერთ ამ არა სასურველ მოვლენის მიზეზად, ჩემის ფიქრით, უნდა ჩაითვალოს ნივთიერად დაბეჩავებული მდგომარეობა ჩვენი სამღვდლოებისა. ნუ დავივიწყებთ, რომ ყოველი მღვდელი, გარდა თავისი ხარისხისა, იგივე კაცია, როგორც სხვანი ყველანი, იმავე მოთხოვნებებით სულისა და ხორცისა. მასაც ჰყავს შეილები, რომელთაც შესაფერი სწავლავანათლება უნდა მიადებინოს, მასაც ეთხოვება სხვა-და-სხვა ოჯახური საჭიროებათა დაკმაყოფილება და საშუალება კი ყოველივე ამათვის ძლიერ ნაკლები აქვს. ცხადია, რომ ნივთიერად შევიწროებული მდგომარეობა კაცისა, ხშირად ხშავს ამ უკანასკნელში კეთილ და სასარგებლო მისწრაფებათა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კაცს სურს რაიმე კეთილი საქმე გამოიწყოს და შეასრულოს კიდევაც, მაგრამ ნივთიერი შევიწროება და სიღატაკე წინ ეღობება და ყოველი კეთილი წადილის შესრულებაში ხელს იგი უშლის, მაგრამ საჭიროდ არ ვრაცხ ჩემ მკითხველებთან ამაზე საუბარის გაგრძელებას.

მეორე არა ნაკლებ მიზეზად ჩვენის მცირე მოღვაწეობისა უნდა ჩაითვალოს ისა, რომ ჩვენ შორის, სამწუხაროდ, ერთობ გავრცელებულია ერთი მეორისადმი შური. ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, რომ მთავრობისა და საზოგადოების წინაშე გავაშავოთ ჩვენი თანამოძმე, უკეთეს ამ უკანასკნელმა რაიმე შემთხვევით დაიმსახურა ყურადღება ან პირველისა და ან მეორისა. საუბედუროდ, ჩვენ შორის ასეთი სამწუხარო მოვლენა უკარგავს ავტორიტეტს მთელს ჩვენ წოდებას საზოგადოებაში და გაუნათლებელ ხალხშიაც. ყოველ სწავლავანათლებლებას ჩვენსას ამ გარემოების გავლენით უყურებენ ეჭვით და ეს ასეც უნდა იყოს. მართლაც, რა მნიშვნელობა უნდა ექმნეს, მაგ. ჩვენს სიტყვას

ქრისტიანულ სიყვარულობაზე და ურთიერთ შორის მშვიდობაზე, როდესაც თვითონ ჩვენ, მოძღვრები ვარღვევთ ყოველ ნაბიჯზედ ამ სიყვარულს და მშვიდობას...

როგორ იქმნება ჩვენი მოქმედება ნაყოფიერი და საზოგადოებისთვის სასარგებლო, როდესაც ჩვენში სრულიად არ მოიპოვება ერთობა? თითოეული ჩვენთაგანი ცდილობს მეორის მოქმედების განხილვა-გაკიცხვას და ამავე დროს ჩვენ კი თითონ არ გვსურს რაიმეს გაკეთება. ჩვენ სრულიად არ ვცდილობთ, რომ ჩვენი მოძმის დაწყებულ საქმეს, თუნდაც ძლიერ სასარგებლოსაც, ხელი გაუწოდოთ და კეთილად დავასრულებით იგი მას...

განსაკუთრებითი ყურადღება მკითხველებისა, მე მსურს მივაქციო ამ უკანასკნელ გარემოებას. ვისურვებ და ღმერთსა ვსთხოვ, რომ ამ სამწუხარო მოვლენას ჩვენში ამიერიდან ადგილი აღარ ქონებოდეს; რომ ამიერიდან არამც თუ ხელი შეგვეშალოს ერთი მეორისათვის კეთილ მოქმედებაში, არამედ ყოველი ღონისძიება მიგვეღოს, რომ ყოველ კეთილ საქმეში ნამდვილი ძმობა და ამხანაგობა გაგვეწიოს. ნუ დაგვაფიქვდება, რომ უკეთუ სადმე სხვაგან, განსაკუთრებით ჩვენს წოდებაში—სიყვარულისა და მშვიდობის მქადაგებლებშია საქირო სიყვარული ურთიერთ შორის და თანხმობა. უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შევიძლებთ კეთილ სამსახურს.

რაიცა შეეხება სამღვდლოების ნივთიერ მდგომარეობას, ამის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა ამ დრომდე შევიწროებული იყო ჩვენი წოდება ნივთიერად, მაგრამ ეხლა, ღვთის შეწევნით, თან-და-თან უმჯობესდება ჩვენი მდგომარეობა. ამიტომ ჩვენ თან-და-თან უფრო მეტი საშუალება გვეძლევა ვიზრომით და ვიმოქმედოთ ხალხის საკეთილდღეოდ.

მეორეს მხრით, უკეთუ ჩვენ შორის ამიერიდან აღარ ექმნება ადგილი შურსა და უკმაყოფილებას და საერთო ძალით შევუდგებით ხალხისთვის საკეთილდღეო საქმეს, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიქმნეთ, რომ ბევრი კარგი რამ გაკეთდება ჩვენში. აი, მაგ. ავიღოთ ჩვენ სხვა-და-სხვა სახალხო კითხვები (народн. чтения). სამღვთო ისტორიიდგან, ბუნების მეტყველებიდგან და სხ. ამნაირ კითხვებს რომ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისათვის, ამაში ყველანი დარწმუნებული ვართ. მაგ-

რამ ამასთანავე იმაშიაც ვართ დარწმუნებული, რომ უმეტესობას ჩვენთაგანს არც თავის ჯიბის საშუალებით და არც საეკლესიო ფულით არ შეუძლია საკუთრებათ მოიპოოს ყველაფერი ამ კითხვებისათვის საჭირო ნივთები და მოწყობილებანი: წიგნები, ფარნები (волшебные фонары) და სურათები. უკეთუ ჩვენ მივმართავთ საერთო ძალას, მაშინ სულ ადვილად შეიძლება ამ საქმის გაწყობა. ავიღოთ მაგალ. საბლალოჩინოები ცალ-ცალკე. უკეთუ ამა თუ იმ საბლალოჩინოს მღვდელნი მოინდომებენ საერთოდ საქმის გაკეთებას, იმ შემთხვევაში, თუ კი სხვა საშუალება არ იქმნება, შეიძლება რომ თავ-თავის წვლილი გამოიღოს ყველა ჩვენთაგანმა და თითო საბლალოჩინოს კრებულმა შევიძინოთ პირველიდგანვე არა ნაკლებ სამისა ანუ ორის ფარნისა და ყოველი საჭირო წიგნები და სურათები.

თუმცა ყოველ კვირა და თავისუფალ დღეს არ შეგვხვდება ამრიგად მოპოვებული ნივთებით სარგებლობა, მაგრამ მე მგონია, სულ არაობას ისა სჯობია, რომ თავში ერთხელ ანუ ორჯელ წაუკითხოთ და ვაჩვენოთ ხალხს რაიმე სასარგებლო წიგნებისა და ფარნების საშუალებით. ერთ კვირას რომ ერთს ექმნება მოწყობილებანი, მეორე კვირას მეორეს და ამნაირად ყველა ვისარგებლებთ, უკეთუ რასაკვირველია, მონდომილი ვიქმნებით საქმის გაკეთებაზე. მერე ღმერთი მოგვცემს რაიმე საშუალებას და სათითოდაც შეგვიძლია შევიძინოთ ყველაფერი.

ნუ დაგვაფიქვდება, მკითხველნო, რომ ეხლა გვეძლევა ჩვენ დრო დავამტკიცოთ, თუ რამდენად სასარგებლონი ვართ ეკლესიისა და ხალხისათვის, რამდენად ამართლებს ჩვენი აღმზრდელი სასწავლებელი თავის დანიშნულებას. ამიტომ საჭიროა შეუდგეთ ჩვენ ენერგიულად ძმურ და საერთო შრომას, რომ დავანახოთ ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რომ ტყვილად არ ვატარებთ დროს, არამედ საზოგადო ინტერესებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვისაც. \*)

მლ. ლ. კ—ძე.

\*) ამ სტატიის შესახებ ჩვენს აზრს გამოვთქვამთ შემდგომისთვის.



უძვენი თ. კ—დ—ნს.

სადამის ჟამსა ოდეს ვარსკვლავი  
ცაზედ თან-და-თან იტყდებოდა,  
ოდეს მთავარის ბადრი სხივები  
მადლს ქედებზედ ნელ-ნელ ჩნდებოდა,

ოდეს ბუნება დაწინააღმდეგე  
ღამის სათარშიდ მუდროდ დგებოდა,  
და ეოვეს ხმას დღისით მსურავს  
დაღლილ-დაქანტულს მოეშვებოდა,

მაშინ იმა დროს ჩვენი მდინარის  
„ტეხური“-ს ზირად მარტო ვხსნებოდათ,  
და მრავალგვარი აწმეო-მომავლის  
წარმოდგენებით აღვივებოდათ.

შეესტქერდი ბნელის მანათობს მთვარეს,  
მისითვე ნათელს კამკამას წყაროს,  
და უურს ვაზურობდი მოდუღუნე ხმას  
ჩემის ხსოვნიდან არ სავიწყაროს.

ხმა საუცხოვო და საკვირველი  
საგონებელს რასმე მოდუღუნებდა,  
ძველ-გადარულთა, ჟამთა წარსულთა,  
ის მოამბობდა, იმას თქმულებდა.

ამბობდა: „მასხვოს ჩემს კედლებზედ  
დაებანაკათ ოსმალთა ძალი,  
რომ შეებდალათ მათ ჩვენი სჯული,  
ენა, ზნენი და ჩვეულებანი.“

„მაგრამ ქართველთა ძმობის წინამძღვალს  
მათს შესამუსრად აღეღოთ ჯვარი,  
თანც ჩვეულებრივ მათ აღემართათ  
„დროშა“ სიმინისა ის წინამძღვარი.“

„რა განისმობდა ხმა სავადებო  
გმირთა ძალ-გულის ასაძკერადი:  
„საწმუნების და მამულისთვის—  
ბრძოლას ძანა დღეს ჩვენი ვალი“,“

„მაშინ არმადნად თვისსა მამულსა  
შეეწირვიდენ ზვარაკად კლული,  
და გამარჯობის „აღმითა“ ხელში  
ვლიდენ ძალ-მადლით სხივ-ბრწყინებულნი.“

„და მტარვალთ გუნდთა დანარჩენებულთა  
როს აიდებდენ ბანაკთა ლელოს,  
მაშინ სამშობლოს თავ-ნამსხვერპლთათვის  
სმიდენ შესანდობს, თანც სადღეგრძელს!“

„ეს ასე იყო, ასეც იქნება  
ერთობის ხელი განმტკიცებელი,  
ოდეს საქვეყნო საერო ვალი  
თითქოს თვის-ვალად აქვს შეგნებელი.“

„მხოლოდღა მაშინ განცხრეველდება  
წმიდა აზრების გამტანი ძალი,  
და ამა გონების ხაფაზ ნასაქმით  
მისი იქნება თან მომავალი...“

ეს მომამინა მიმომდინარემ,  
ვით დალაღება ზესთ-განგებული,  
და გამომხვევს იმედით გული  
უნდა დროთაგან ესდენ ვნებული...“

თ. როსტომ—გუფა ჩიქოვანი.



\*  
\*\*

ცა ღრუბელით შეიმოსა,  
გაავდარდა შენავს ცვარი  
და ბუნებას გარს მოეცვა  
ცივი სუსხი მეტად მწარი.

ქარი მოქრის და ზუზუნებს,  
თოვლ-ნაშხებით წრე იმსება,  
მე ოთანში სევდა ჭმუნვით  
გული სრულად აღმევსება!..

ვიყურები სარკმლით გარე—  
ვით იბრძვის, ბობოქრობს ქარი,  
ჩემი გულიც მას ედრება  
ღელვისაგან განამწარი.

ცას შეემართე თვალ-აღპრობით,  
დავიკრიფე გულზედ ხელი,  
მას შევსთხოვე სამკურნალო  
სევდისაგან დასახსნელი.

ამ დროს ჩემდა სასვე-ბედოდ  
ხმა მომესმა მგალობლისო.  
და „აღილოს“ გაჰკიოდნენ  
მახარობლად ხვალის დღისო!

გვიგალობეს: „გიხაროდენ,  
მისთა მმოსავთ სვე-მორბედი!  
ხვალ იშობა მაცხოვარი—  
ტანჯულთ მხსნელი და იმედი!..“

როსტომ—გუფა.





**ქურნალ-გაჯეთივიდან.**

ფოთის ხაზინის გაცარცვამ დიდი ბაასი გამო-  
იწვია რუსულ გაზეთებში. ერთი რიგი მწერლებისა  
ამტკიცებენ, რომ კავკასიის ხალხს ძვალსა და რბილ-  
ში აქვს გამჯდარი ქურდობა და ავაზაკობაო, მაგ-  
რამ ამ ბატონებს ავიწყდებათ, რომ რუსეთში უარე-  
სი რამეები ხდება. აი რა ცნობები მოყავს ბ. სიმონ-  
ნოვიჩის პეტერბურგის უწყებებში:

1891 წელს კავკასიაში სულ გასამართლებული  
ყოფილა სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებისათვის 2691  
მამაკაცი და 181 დედა-კაცი; ამათგან მართლ-მადი-  
დებელი ყოფილა 1558 კაცი, სექტანტი—68, სხვა  
ქრისტიანი—185, ებრაელი—26, მაჰმადიანი 1024  
და სხვანი. ამავე დროს შიდა რუსეთის რვა ოლქ-  
შივე მეტი რიცხვი ყოფილა გასამართლებული სხვა-  
და-სხვა გვარ ბოროტ მოქმედებისათვის. მაშინ რო-  
დესაც კავკასიაში ერთ მილიონ მცხოვრებზე ყო-  
ფილა 370 გასამართლებული, შიდა რუსეთის გუ-  
ბერნიებში ამდენს მცხოვრებლებზევე ყოფილა 500  
გასამართლებული.

ამ რიგად ბოროტ-მოქმედებათა რაოდენობის  
მიხედვით კავკასია სულ არ ჩაითვლება „ავაზაკობის  
ქვეყნად“, როგორც გაიძახინ ზოგიერთი „პუბლიც-  
ისტები“. ქურდობისათვის რუსეთის შიდა გუბერ-  
ნიებში დაუსჯიათ ერთ მილიონ მცხოვრებზე 149  
კაცი, კავკასიაში კი მხოლოდ 50; დანარჩენი ბო-  
როტ-მოქმედება თითქმის ერთგვარ ციფრებს იძლევა  
ჩვენშიაცა და რუსეთის შიდა გუბერნიებშიაც. შე-  
სანიშნავია ის გარემოება, რომ კაცის კვლა კავკა-  
სიაში მარტო ადგილობრივ მკვიდრთა „თვისებას“  
კი არ შეადგენს, არამედ რუსნიც იმდენივე პრო-  
ცენტი ყოფილა გასამართლებული ამ ბოროტების-  
თვის, რამდენიც მკვიდრნი. აქედან ავტორს სამარ-  
თლანად გამოჰყავს ის დასკვნა, რომ ჩვენში სხვა-  
და-სხვა სოციალური გარემოება ხელს უწყობს ამ  
გვარ ბოროტების გავრცელებას. გარდა ამისა, ავ-  
ტორი აღნიშნავს, რომ კავკასიაში კიდევ აქვს ად-  
გილი სისხლის აღებას და მცხოვრებთ, ნამეტურ  
მაჰმადიანთ, განსაკუთრებული აზრი აქვთ ღირსების  
დაცვაზე.

ყველა ამიდან ერთად-ერთი დასკვნა შეუძლია  
გამოიყვანოს კაცმა: კავკასიაში ისეთსავე ღონისძი-  
ებათ უნდა მიჰმართონ ბოროტ-მოქმედებათა შესამ-  
ცირებლად, როგორც შიდა რუსეთში: სწავლა-გა-  
ნათლების გავრცელებასა და სოციალურ პირობათა  
გაუმჯობესებას.

\*  
\*  
\*

1903 წლის პირველ იანვრიდან ინგლისში და-  
იწყო მოქმედება ახალმა კანონმა ლოთობის წინა-  
აღმდეგ. მოგვყავს ახალ კანონის უმთავრესი მუხლე-  
ბი: სმა შეიძლება, მაგრამ გონების დაკარგვამდე  
არა. ნასვამ კაცს, რომელიც მტკიცედ ვერ სდგას  
ფეხზე ქუჩაში, რესტორანში, თეატრში და საზოგა-  
დოდ ყველგან, სადაც საზოგადოებაა, იქერს პოლი-  
ცია და ჯარიმას ახდევინებს ან ერთ თვემდე დატუ-  
სალებას უწყვეტს. გარდა ამისა, მოსამართლეს შეუ-  
ლია მოსთხოვოს ასეთ პირს ან გირაო ან ორი კა-  
ცის თავდებობა, რომ შემდეგში რიგიანად მოიქცევა.  
თუ ბრალდებული ვერც ერთსა და ვერც მეორეს  
ვერ წარმოადგენს, მოსამართლეს უფლება აქვს სამის  
თვით დააპატიმროს.

ვინც საშჯერ იქმნება შემჩნეული სიმთვრალეში,  
ერთმევა უფლება მაგარ სასმელების ხმარებისა სამის  
წლის განმავლობაში. ვინც ასეთ „უფლება ახდილს“  
მიჰყიდის ან მიაწვდის მაგარ სასმელს, გადახდება  
10 გირვანქა სტერლინგი (100 მ.) ან ჩასმენ საპა-  
ტიმროში, სადაც მძიმე სამუშაოებია.

თუ ვინმე ლოთად იქმნა ცნობილი, ცოლს ან  
ქმარს ცალკე ცხოვრების უფლება აქვს. თუ კაცია  
ლოთი, გაყრილ ცოლს უნდა აძლიოს გადაწყვეტი-  
ლი შემწეობა; თუ ქალია ლოთი, უფლება არა აქვს  
რამე ითხოვოს. განსაკუთრებით სჯიან იმ ნასვამ  
კაცს, რომელსაც თან პატარა ბავშვი ჰყავს; ზარხო-  
შადაც რომ იყოს, მაინც დასჯიან.

პირველ დღესვე თურმე ბლომა ხალხი იქმნა  
დასჯილი, განსაკუთრებით ბევრი იყო თხოვნები  
ლოთ მეუღლისაგან განთავისუფლების შესახებ და  
არა მარტო დაბალ წრეებში, ვესტ-ენდის პოლიცი-  
აში, სხვათა შორის, მისულა ვიღაც „სერი“ და უთ-  
ხოვია განთავისუფლებიათ იგი «ლედი»-საგან, რო-  
მელიც გამუდმებულ ლოთობაში ატარებს თურმე  
ცხოვრებას. იმავე დღეს მეორე უბანში მისულა  
ქუჩის მგველი და გამოუცხადებია, რომ ჩემი ცოლი  
ყველაფერს ჰყიდის ან აგირავებს და მუდამ ლო-  
თობსო; საშობაოდ ნასესხი ფულიც კი სამიკიტნო-  
ში გაუქანებია. მოსამართლეს ორივე მთხოვნელი  
დაუქმაცოფილებია.

ახალი კანონი ლოთობას, რასაკვირველია, ვერ  
მოსპობს, იგი პალიატიური ზომაა, მაგრამ მაინც  
დიდათ სასარგებლოა, რადგან მოსპობს ამ საშინელ  
სენის უმახინჯეს ფორმებს. ისიც კმარა, რომ დედ-  
მამას აღარ შეეძლებათ ილოთონ სამიკიტნოებში  
თავიანთ პატარა შვილებთან ერთად.



# ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* \* „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ ბ. ა. ხანასშვალის მცირე შენიშვნას. „წარსულ ზაფხულს ათონის მთასზე ივერიის მონასტრის წიგნთსაცავში ვნახე რამდენიმე ქათრული ხელნაწერი, რომელიც არ არის აღნიშნული ა. ა. ცაგარდის მიერ შედგენილს კატალოგში. სხვათა შორის, შემხვდა ერთი საუყრადღებო ეტრატე—„სძლის ზირნი და მღუთის მშობლისანი“ ნოტებით. ზირველს ნოტებს აკლია ნ ფურცელი. მესუთე რვეულის მესუთე გვერდზე მიწერილია: „ქრისტე ადიდე გიორგი მესხელე ორთავე სუფევათა მინ“. მეცხრე რვეულის მესამე ფურცლის ბოლოს აწერია: ქრისტე შეიწვალე იოანე, ქრისტე ადიდე ჯ-ჯკ ერისთავთა ერისთავი აწდა უკუნი-სამდე. ამინ. ეს სახელები—იოანე და ჯ-ჯკ შეგვხვდა სხვა ადგილსაც ამავე ხელნაწერში. საუყრადღებოა რომ ნოტები იმგვარია, როგორც ვნახეთ ათონზედ ბერძნულს ხელნაწერში მე-XIX სუკ.; ამ გვარავე ხასიათი აქვს იმ ნოტებს, რომელიც ტფილისში გვიანხავს წერა-კითხვის საზოგადოების და სეკკესის მუხეუმის წიგნთსაცავში. ნათესაობა ქართულს და ბერძნულს ნოტებს შორის კვს გარეშეა. რაც შეეხება ერისთავ ჯ-ჯკს, იგი უნდა იყოს ჯოჯიაკ ერისთავი, რომლის შესახებ სომხეთის მეისტორიე ასოციაცია მკვითხრობს, რომ „დავით კურთხვალტმა შექვრია ივერიის ჯარი ერისთავთ ერისთავის ჯოჯიაკის წინამძღვრობით ჭკაგზანა იგი თარნიკითურთ წინამძღვრ ვერდასი“, რომელიც აუჯანუდა ბიზანტიის ხელმწიფეს. მართლაც, ბოლოს ამ მოხსენებულის ხელნაწერისა ჩვენ ამოვიკითხეთ სიტყვები, რომელნიც ეთანხმებიან ასოციაციის დახასიათებას. ოცდამესამე რვეულის მეორე ფურცელზე აწერია; „ქრისტე ადიდე ბეგრის ბეგრეულთა წელთა ჯოჯიაკ ერისთავთა ერისთავი, უფროდს უფუელთა ნაშობთა ქვეყანისათა იუან. ამინ“.

თუ ჩვენი გალობის მძიებელთათვის სჭირბა იქნება, შემიძლიან უჩვენო ფატოკრაფიულად გადმოდებული ერთი ფურცელი ამ ნოტებიანი მე-XI სუკუნის ხელნაწერიდან“.

\* \* \* უწმ. სინოდთან არსებული სამისწავლო საბჭო უბვე შეუდგა საპედაგოგიო და საადმინისტრაციო წიგნთსაცავების გამართვის სასულიერო უწყების სკოლებისათვის. ასეთი წიგნთ-საცავები, როგორც ამბობენ, გაიმართება უველა ეპარქიისათვის შუაგულ ადგილას.

\* \* \* 14 იანვარს ბათუმში გამართულ ქართულ საღამოს დიდ ძალი ხალხი დასწრებაა. საღამო გამართა კნ. ლ. ნ. ანდრონიკაშვილის დიასახლისობით «ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ.

\* \* \* პეტერბურგში მალე გაიხსნება აღმოსავლეთ ენების სავაქრო კურსები. კურსებზე ასწავლიან სპარსულს, ჩინურსა და ოსმალურ ენებს ყველა იმათ, ვინც მოწადინებულთა სავაქრო დამოკიდებულება იქონიოს აღმოსავლეთ ქვეყნებთან.

\* \* \* მიწათ-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს გააუმჯობესოს საცდელ მინდვრების მდგომარეობა. განზრახულია თავდაპირველად საცდელ მინდვრებში სამუშაოდ უფრო მომზადებულნი მოხელენი იყოლიონ, რისთვისაც გააუმჯობესებენ მათნივე მდგომარეობასა და ამასთანავე მეტ თავისუფლებას მისცემენ სამეცნიერო და პრაქტიკულ გამოკვლევათა მოწყობის საქმეში. საზოგადოდ სამინისტროს სურს ისე მოაწყოს ამ მინდვრების საქმე, რომ მათ მეტი სარგებლობა აჩვენონ სოფლის მეურნეთ და ამასთანავე სამეცნიერო დაწესებულებაც გამოდგნენ.

\* \* \* პეტერბურგში ამ ცოტა ხანში გამოვა ყოველ დღიური გაზეთი ინგლისურ ენაზე. გაზეთს აზრად ექნება სავაქრო ინტერესის განვითარება ინგლისსა და რუსეთს შორის.

\* \* \* ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით, წელს გაიხსნება სახელმწიფო საგლეხო საადგილმამულთა ბანკის განყოფილება ღონის ოლქსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

\* \* \* სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამომკვლევ ხარკოვის საგუბერნიო კომიტეტისთვის საერობო მოღვაწეს ნ. ნ. კოვალევსკის წარუდგენია საინტერესო მოხსენება. თავის მოხსენებაში კოვალევსკი ასახელებს მიზეზს ზოფლის დაცემა-დაქვეითებისას. აი ეს მიზეზები: 1) სკოლათა რიცხვის სიმცირე და საზოგადოდ სწავლა-განათლების მოუწყობლობა; 2) საზოგადოებრივ და კერძო თვით-მოქმედების შევიწროება-შეზღუდვა; 3) ბაზრის უქონლობა და სოფლის ნაწარმოებზე ფასის დაცემა; 4) დიდი გადასახადები; 5) სასოფლო-მეურნეობის მოთხოვნილება-საჭიროებათა აუსრულებლობა. „როდესაც,—სწერს კოვალევსკი მოხსენების ბოლოში,—ამ უმთავრესს მიზეზებს ავიცილებთ, დანარჩენ გაჭირვებას საზოგადოების თვით-მოქმედება მოიშორებს თავიდანო“.



\* \* \* რაჭის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლედ დანიშნა ქალაქ სიმბარსკის მომრიგებელი მოსამართლე დობროფლსკი („კავკას“).

\* \* \* როგორც სათანადო დაწესებულებების ცნობებიდან სჩანს, გასულ წელს 83,326 კაცს აუღია ზსწორები საზღვარ-გარედ წასასვლელად. წინანდელ წელთან შედარებით ბევრად მეტი ხალხი წასულა საზღვარ-გარედ.

\* \* \* ვლადიმირის სამაზრო ერობას განუზანხავს მასში ტელეფონის გამართვა. ტელეფონი ზირველ ხანს 380 ვერსის მანძილზე იქნება გამართული. ტელეფონით შეკერთებიან საკუბერნია და სამაზრო ერობათა გამგეობას, 22 სთემო (ვოლოსტი) გამგეობას, სამაზრო სამხედრო საკრებულოს, ზოლიციის გამგეობას, სავაღმუთოეობებს, თავადაზნაურთა წინამძღოლის, ერობის უფროსებისა, ერობის ექიმებისა, ბეითლებისა, დამხდვევ აკენტიებისა, გამომძიებლებისა და სხვათა სადგომებს. როგორც გამაზნავრებულა, ტელეფონის გამართვა დაჯდება 18,000 მანეთი. კერძო კაცებმა, თუ თავიანთთვის გამართვინებენ ტელეფონს, უნდა იხადონ წელიწადში 35 მანეთი (ტფილისში 75 მანეთი ღირს). ტელეფონის გამართვას მაშინვე შეუდგებიან, რა წამს საშინისტრო ნებას დასთავს.

\* \* \* 3 იანვარს, საზამთრო სასახლეში, გერმანიის ტანტის შემგვიდრის ზატეუსტემლად გამართულს სადღესასწაულს სადილზე ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: „ბედნიერი ვარ, რომ თქვენს უმაღლესობას ვხედავ ჩვენ შორის და გიცხადებთ მადლობას მობრძანებისათვის; ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უფროსტოესის მშობლებისს—გერმანიის მეფე-დედოფლისს და თქვენის უმაღლესობისს“. ამასე გერმანიის ზრინტმა უპასუხა: „მეტად მსიამოვნა იმ სიტყვამ, რომლითაც მომმართეთ თქვენმა უდიდებულესობამ; გთხოვთ მომცეთ ნება გამოგიცხადოთ უკუღმთადესი მადლობა მამიჩემის—გერმანიის იმპერატორისა—და ჩემის მხრითაც გუღითადის დახვედრისათვის, რომელსაც არასოდეს არ დაუვიწყებ. ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისს, დედოფლების მარამ თეოდორეს ასულისსა და ალექსანდრა თეოდორეს ასულისს და მთელის თქვენის ოჯახისს“.

\* \* \* 3 იანვარს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში, სემინარიის რექტორის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ ტფილისის ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებს ზოგიერთ საზედგოგო საკითხების განსახილველად. კრებამ, სხვათა შორის, დაზარატი

ჩამოაგდო გაკვეთილების რიცხვის შემცირების შესახებ. ზოგიერთ საგანში უფველ კვირა დანიშნულია 30 გაკვეთილი. კრებამ გადასწავილა შუამდგომლობა ადმინს უმაღლეს სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ სასწავლებლებში დაწესებულ იქმნას კვირაში არა უმეტეს 23 გაკვეთილისა. ამასე კრებაზე განიხილეს მოხსენება იმის შესახებ, რომ მოსაზობილ იქმნას ბერძნული ენის სწავლება. როგორც მკითხველებმა იცინ, სასულიერო მთავრობამ ტფილისის გუბერნიის სასულიერო სასწავლებლებში დასტოვა ბერძნულის სწავლება, ხოლო ქუთაისისში ღათინურისა. კრებამ, მიიღო რა სასეში ის გარემოება, რომ ძველ ბერძნულ ენის სწავლებას, რომელიც დიდ დროს ართმევს მოსწავლეებს, ცნობრებაში მოზარდ ახალგაზრდობისათვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გადასწავილა ადმინს შუამდგომლობა, რომ სრულიად გაუქმებულ იქმნას ბერძნულის ენის სწავლება ტფილისის ეპარქიის სასწავლებლებში. („ცნ. ფურ.“)

\* \* \* 31 დეკემბერს, დღის 7 1/2 საათზედ, დაბანში ორჯელ ზედი-ზედ მიწის-ძვრა მომხდარა. დღამიწის გულიდან ორჯელვე გრგვინვა მოისმოდა თურმე.

\* \* \* მარტვილიდან გვწერენ: «მარტვილის მცხოვრებნი მეტად გაჭირვებულნი ვართ, რომ მარტვილის წინედ საკათედრო ეკლესია, ღღეს მონასტრად არის დაშთენილი და მთელი ნოვოლაღევის და მარტვილის მცხოვრებნი უეკლესიოდ ვართ დარჩენილნი. ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რა გაჭირვება გვადგია მრველს, როცა ჯვარის დასაწერად სხვა სოფლებში უნდა ვეძიოთ საქირაოდ ეკლესია და მღვდელი. მღვდლებისთვის საკუთარი ეკლესიის აშენება, ვგონებ სასიამოვნო არ არის, რადგან ღღეს ისინი წირვა-ლოცვისაგან თავისუფალნი არიან, თორემ როგორ არ მოინდომებდნ საკუთარი ეკლესიის აშენებას, რომ ჩვენს საკუთარ ეკლესიაში შეგვესრულებია ყოველგვარი მღვდელ-მოქმედება გაუჭირველად და თავისუფლად“?..

მართლაც რომ მარტვილის მცხოვრებთა ასე უეკლესიოდ დატოვება, ცოტა არ იყოს, ბრალს სდებს მრველის მოძღვართ.





# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნობაზე.

ს ი ბ უ მ ა .

თქმული მოციქულთა სწორის ნინო ქართველთ განმანათლებელის დღესასწაულის დაისად.

მუხლ დადგმით მტირალნი შევივრდებით და შეწვევისა შენისა მოქენე ვართ, ქრისტეს მოციქულო, სანატრელო ნინო, გამომიხსენ ყოველთა ურვათაგან სამწყსონი შენნი ესე, რომელი გვპოვნეს ჩვენ ქირთა მრავალთა. (ნინოს დაუჯდომელიდან).

ასე მხურვალედ ევედრებოდენ ძველად ქართველები თავიანთ განმანათლებელს—მოციქულს ნინოს, ამ გვარი ღმობიერებით იხსენიებდენ მუდამ მისს ძვირფას სახელს, ასეთი შეურყეველი სასოებისანი იყვნენ ჩვენი წინაპარნი ნინოზედ, ამისთანა კრძალულებას და საღმრთო გრძნობებს იწვევდა ქართველი კაცისა და ქალის გულში ჩვენი განმანათლებლის სახელის წარმოთქმა და გაგონება! „გამომიხსენ ყოველთა ურვათაგან სამწყსონი შენნიო“, ევედრებოდენ ქართველები წმ. ნინოს და ვედრება ესე ამოდიოდა მათი გულის სიღრმიდან, წარმოადგენდა მათი ღმობიერების დაუღწეველი სიმდიდრის წმინდა ნაკადულს, ნასკვი იყო მათი მალალი რწმენისა. ქართველს, განურჩევლად სქესისა და წოდებისა, წმინდა ნინო მიაჩნდა თავისს სულიერ მწყემსად და თავისს თავი მისს სამწყსოდ. იცოდა და გულით სწამდა მას (ქართველს), რომ მწყემსი კეთილი ყოველთვის თავდადებულია სამწყსოსთვის, მუდამ წამს გამსჭვალულია სამწყსოს კეთილდღეობა, ბედნიერება და უვნებელობაზედ ზრუნვა-ფიქრით, ყოველთვის და ყოველგან თავს დასტრიალებს სამწყსოს მოწადინებული ააცილოს მას ყოველი განსაცდელი, გაჭირვება, შიში და მწუხარება, ვიმეორებ: გულით სწამდა ეს ყველაფერი ქართველს, ნე-

ტარად მიაჩნდა თავისს თავი, რომ დაჯილდოებული იყო ღვთისაგან საკუთარი სულიერი მწყემსის ყოლით და ამის გამო ყოველ წამს ცდილობდა დაახლოებოდა სულით ამ მწყემსს, შეეგნო მისი სურვილი, აღესრულებინა მისი მოძღვრება, გამოეჩინა თავი ღირს და სასურველ სამწყსოდ თავისი განმანათლებელისა. აი, ძვირფასნო მსმენელნო, რითი აიხსნება, რომ ქართველი იყო სრული მორჩილებით მიმდევარი წმ. ნინოს მოძღვრებისა, გამგონე მისი რჩევა-დარიგებისა, მდგომი მის მიერ ნაჩვენებ გზა-კვალზედ, აღმასრულებელი და განმახორციელებელი ცხოვრებაში ღვთისაგან განწმედლი მისი გულის საღმრთო წადილთა, წმ. ნინოს სახელი სულიერი სიხარულით ავსებდა ქართველს, საღმრთო სხივად ესვენებოდა მას გულში, გამამხნეველ და დამატკობელ ძალად ეფინებოდა მის სულს, შინ და გარეთ, ქირში და ღბინში განუშორებელი იყო მისი გონებისაგან წმ. ნინოს მოციქულებრივი სახე და ამ სახის ლოცვა-ვედრება, მისი ღირსეულად ტარება შეადგენდა ქართველის ბედნიერებას, სიხარულს და დიდებას.

მაგრამ ეს იყო ძველ დროში, და, სამწუხაროდ, თითქოს თან გაჰყვა ძველსავე დროსო; ამგვარად იქცეოდენ ძველი ქართველები, და, სავალალოდ, თითქოს თან გაიყოლიესო ეს სიყვარული განმანათლებელისა თავიანთ სამარხთა დაუქნობელ გვირგვინად. დღეს წმ. ნინოს სახელი ან სრულებით აღარაფერს ეუბნება და აღარაფერს აგონებს ქართველის გულსა და გონებას, ან მის მიერ გამოწვეულნი გრძნობანი მეტად მკრთალნი, სუსტნი და უფერულნი არიან. დღეს ქართველობის მომეტებულ ნაწილს აგრე რიგად აღარ ესახელება წმ. ნინოს სამწყსოდ ყოფნა, აღარ სთვლის ამას უმაღლეს ბედნიერებად და, რაღა საკვირველია, რომ შინაც და გარეთაც, ქირშიაც და ღბინშიაც სრულებით დავიწყებული შეიქნა აღნიშნული სახელი, აღარ მოესმის იგი ზეცაურ ჰანგად ჩვენ ყურს, აღარ აფრთოვანებს და აღარ აცისკროვანებს ჩვენს გულს და გონებას. სატირალი, სწორედ სატირალი და საგლოვებელია ჩვენი დღევანდელი ზნობრივი დაცემა და სარწმუნოებრივი დაბნელება: ჩვენი ეკლესიის დაფუძნების, დაარსების, დაბადების დღეა დღეს, და ეკლესიეებს კი არ გაუხარიათ, ობლად და საბრალისად გამოიმზირებიან იგინი დღეს ქალა-



ქებად და სოფლებად, არსად არ იხმის სადღესასწაულო ზარის რეკვა, ხალხი გართობილია მოუსვენარი ცხოვრების ყოველ-დღიურ ზრუნვა-შფოთში; ოჰ, ცოდვე! ოჰ, თავის შერცხვენავ! თვით სამღვდლოებას, წმ. ნინოს საქმის მსახურთ, აღარ ახსოვს ეს დღე, აღარ უსვენია გულში საკუთარი მოციქულის მნათობი სახე, სამღვდლოება აღარ მეტყველობს თავისი სულიერად მშობელი დედის წმინდა ოფლზედ, რომლითაც მორწყო მან ჩვენი ქვეყანა, აღარ ღალადებს უკვდავების შესახებ, რომელსაც დაგვაწაფა მოციქულის ქადაგებამ, ხმას აღარ იღებს იმ ღვთიურ ძალაზედ, რომლითაც შეგვმოსა ჩვენმა მნათობმა და რომლის მეოხებითაც ჩვენმა მამა-პაპამ ჰსძლია მტერს, აგვილორძინა ენა და შეგვიწახა მიწა-წყალი! სადღაა, საქართველოს რომელი კუთხე გეგულეობდათ, რომ დღევანდელ დღეს ეკლესიები აღდსილნი იყვნენ მლოცველებით და მოძღვრების პირით შესთხოვდნენ თავიანთ განმანათლებელს: „მუხლ დადგმით მტირალნი შეგივრდებით და შეწვენისა შენისა მოქენე ვართ ქრისტეს მოციქულო, სანატრელო ნინო!“ მიდის, ქრება და თან-და-თან მცირდება ჩვენ ცხოვრებაში ყველაფერი ამის მსგავსი. ცოტა, სულ ცოტა დრო კიდევ, და სამუდამოდ ჩაქრება ჩვენს გულში ოდნავდა მბუჟტავი ალი სარწმუნოებისა! ცოტახან კიდევ დღევანდებურად ცხოვრება და მოქმედება, და ჩვენ სამუდამოდ ზურგს შევაქცევთ როგორც ჩვენს განმანათლებელს, ისე მის მიერ ნაღვაწს და დანერგულ ეკლესიას!

მერე? რას შევიძენთ, რას მოვიმკით ამგვარი საქციელით? დედა-მიწის პირიდან აღგვას, ჩვენი ხსენების მოსპობას, ვალატაკებას და მიწასთან გასწორებას, და ბოლოს სულით და ხორცილად წაწყმენდას. წმიდა ნინო კი ხმა მალლა გვიქადაგებს ღვთის ბრძანებას: „უკეთუ გინდესთ, და ისმინოთ ჩემი, კეთილნი ქვეყანისანი შუამნეთ (ის. 1, 20); ნუ ეძიებთ, რა ჰსჯამოთ და რაჲ სვათ, გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღვთისასა, და ესე ყოველი შეგვიძინოს თქვენ (ლუკ. 12, 29, 31).

შევიგნოთ, შევიგნოთ დიდმა და პატარამ, რომ ყველანი დამნაშავენი ვართ წინაშე ჩვენი სულიერი მწყემსისა—ღირსი დედა ნინოსი, ახლა მაინც გადაწყვიტოთ სწავლულმა და უსწავლელმა გაფიგოთ ვინ იყო წმ. ნინო, საიღამ მოგვევლინა იგი, რა ამაგი დაგვსდო და აკვირიდნევე, დედის ძუძუსთან

ერთად შევათვისოთ ჩვენს ჩამომავლობას მხურვალე სიყვარული ამ ჩვენი მთავარი მნათობისა და მისი ღვთაებრივი მოძღვრებისა, თუ ნამდვილად გვსურს ჩვენი და ჩვენი ჩამომავლობისათვის ჭეშმარიტი ბედნიერება სააქაოს და საიქიოს. ეხლა კი, მხედველთ წმ. ნინოს პატიოსანი ხატისა, მოვიკრიბოთ ყურადღება, აღვივსნეთ გულსმოდგინებით, სასოებით, ღმობიერებით და სიმდაბლით შევთხოვოთ მას: „მუხლ დადგმით მტირალნი შეგივრდებით და შეწვენისა შენისა მოქენე ვართ, ქრისტეს მოციქულო, სანატრელო ნინო, გამომიხსენ ყოველთა ურვათაგან სამწყსონი შენნი ესე, რომელნი გვპოვნეს ჩვენ ჭირთა მრავალთა“. ამინ!

ეპისკოპოსი ლეონიდი.

**მართლმადიდებლობით—ქრისტეანებრივის საეკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება.**

(გაგრძელება. ის. „მწვემსი“ № 20).

ყოველ ადამიანს სწყურია ბედნიერება, სურს იყოს მუდამ კმაყოფილი, მხიარული და გამოსცადოს, რაც შეიძლება, ცოტა მწუხარება და უბედურება. კაცი შესდგება სულისა და სხეულისაგან; ამის გამო იგი ბედნიერია მხოლოდ მაშინ, როცა დაკმაყოფილებულნი არიან იმისნი როგორც სულიერი მოთხოვნილებანი, აგრეთვე ხორციელნიცა. იმის სრულ ბედნიერებისთვის საჭიროა, რომ იგი იმყოფებოდეს იმისთანა პირობებში, რომლებიც იმის სხეულის კეთილმდგომარეობას ხელს უწყობენ; ხოლო ისეთნი მოვლენანი კი, რომელნიც იმის სხეულს ვნებენ, უკარგვენ ძალას, ასუსტებენ, იმისგან გაშორებულნი უნდა იყვნენ. კაცი შექმნა როგორც სულიერ, ისე ხორციელ, ქვეყნიურ ბედნიერებისთვის. იმან პირველნი კაცნი მშვენიერ ბაღში დასახლა, სასაზრდოდ მრავალნი, სხვა-და-სხვა გარნი ნაყოფნი მისცა და ყოველნი ცხოველნი დაუმორჩილა. ამას გარდა, ადამიანის შინაგან ზნეობრივ ცხოვრებასა და გარეგან ხორციელ ცხოვრების შორის ურთიერთობა და დამოკიდებულებაა. ხორციელ, ქვეყნიურ ცხოვრების მოვლენათა კაცის სულის მდგომარეობაზე დიდი ზედგავლენა აქვთ. შიმშილს, წყურვილს, ავადმყოფობას, მწუხარებას, შევიწროებას, დევნას კაცთაგან, ცუდი ზედმოქმედება აქვთ ადამიანზე, ხალისს უკარგავენ მას, მისწრაფებას კეთილ-მოქმედებისადმი უზღვენ, ძალ-ღონეს





ართმევენ და აბრკოლებენ ზნეობრივ ცხოვრებაში. კაცს დიდი სიმტკიცე უნდა ქონდეს, რომ გაჭირვებას გაუმბარდეს, უძლეველი დარჩეს, სულით არ დაეცეს და სულიერ ცხოვრებაში წარმატების მოპოება შესძლოს. საერთოდ კი ასეთა, რომ თუ კაცი გარემოცულია მწუხარებით, იგი უძლეურდება და ბრკოლდება ზნეობრივ ცხოვრებაშიაც და აი ჩვენ დიდი კვერქის შემდეგ თხოვნებში ღმერთსა ვსთხოვთ ყოველი ქვეყნიური მწუხარება—გაჭირვება აგვაშოროს და მით ნუ შეგვიყვანს განსაცდელში, გვიხსნას ბოროტისაგან.

8) „კეთილ შეზავებისათვის ჰაერთასა, კეთილ-გამოღებისათვის ნაყოფთა ქვეყნისათა და ჟამთა მშვიდობისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

აქ ვითხოვთ იმას, რაზედაც დამოკიდებულია კეთილ-მდგომარეობა სხეულისა, ე. ი. კეთილ-შეზავებასა ჰურთასა და კეთილ-გამოღებასა ნაყოფთა ქვეყანისათა. კეთილშეზავება ჰაერთა მდგომარეობას იმაში, რომ ჩვენ გარემოცულნი ვიყვნეთ ჰაერის ისეთ მოვლენათა მიერ, რომელნიც ჩვენთვის სასიკეთონი არიან, ე. ი. იყოს თავთავის დროზედ და ზომიერი სითბო, სიგრილე, წვიმა, ნიავი, ქარი, თვით ჰაერი იყოს სუფთა, საღი; ხოლო ბუნების მრისხანე მოვლენანი კი, მაგალითად, მომეტებული სიციხე, სიცივე, ქარიშხალი, ნიაღვრარი, სენის გავრცელება ჰაერში და სხვანი, რომელნიც ჩვენთვის მავნებელნი არიან, განშორებულნი უნდა იყვნენ ჩვენგან. ნაყოფის გამოღება არის ის, რომ იყოს საკმაო მოსავალი საჭირო მასაზრდოებელ ნაყოფთა. ყოველივე ამას ვითხოვთ, რათა ქვეყანაზედ სუფევდეს ჟამთა მშვიდობა, ანუ მშვიდობიანობა, რომ ჩვენ თავისუფალნი ვიყვნეთ მწვავის და სულის დამამძიმებელ ზრუნვისაგან ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და მთელი ჩვენი ყურადღება და ძალ-ღონე მივაქციოთ ზნეობრივ განვითარებას და სულიერ ბედნიერების მოპოებას.

9) „მენავეთა, მოგზაურთა, სნეულთა, მშრომელთა, ტყვეთა ხსნისა და ცხოვრებისა მათისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

ამ თხოვნაში ღმერთს ვევედრებით შეეწიოს, დახმარება აღმოუჩინოს ადამიანს სხვა-და-სხვა გვარ გასაჭირ მდგომარეობაში, მაგ., ზღვაზე და ხმელეთზე მოგზაურობაში, ავადმყოფობაში, უზომო შრომაში და ტყვეობაში. ამ თხოვნის თქმის დროს უნდა

წარმოვიდგინოთ მრავალგვარ შიშში, მწუხარებაში, გაჭირვებაში მყოფნი ადამიანნი. რამდენი ადამიანი მოგზაურობს ზღვაზე და ხმელეთზე და რამდენ საუბელურო შემთხვევებითაა გარემოცული იმათი მოგზაურობა! რამდენ იმათთაგანს მოელის უღროდ წუთისოფლის გამოსალმება, ანუ ჯანმრთელობის დაკარგვა, დასახიჩრება, და ამ გარემოებას რამდენი ცუდი შედეგი მოყვება ხოლმე! რამდენ ადამიანს აცრემლიანებს იგი და ბედნიერებას მოუსპობს!—და ამ დროს კი ჩვენ მოსვენებულნი ვართ თავთავიანთ სახლში, არავითარი შიში არა გვაქვს. რამდენი კაცია შეპყრობილი უთვალავის გვარის სნეულებებითა! მოკლებულნი არიან ისინი იმ ბედნიერებას, რომლის მოპოება შეადგენს კაცის კანონიერ სურვილს, და რომელიც ადამიანს სულიერად აღაფრთოვანებს, ზნეობრივ აღამაღლებს და ღვთისადმი აღიყვანს. საბრალონი მუდამ ერთ ალაგას, ოთახში, მძიმე, დახშულ ჰაერში იმყოფებიან; თვის გარშემო მხოლოდ წამლებს ხედვენ და აუტანელ ტკივილებს ითმენენ.—ამ დროს კი ჩვენ ჯანმრთელად ვართ და შეძლება გვაქვს ამ სოფლის სიამე გამოცადოთ. რამდენი ადამიანია იძულებული ლუკმაპურის შოვნისათვის, თვისის თავის შენახვისათვის, ოჯახის რჩენისათვის იყოს უზომო შეუწყვეტელ შრომაში, იცხოვროს შეხუთულ, მოწამლულ ჰაერში, მთელი თვისი ძალ-ღონე შეალიოს ამა თუ იმ საძინელო საქმის კეთებას! რამდენი მოხუცებულია ისეთი, რომელიც თვისის მიმქრალის ძალღონით ეტანება დიდ ჯაფას, ხელს არ აჭერებს, წვალობს სულის განტევებამდე! სამართალი კი მოითხოვს, რომ იგი მოსვენებული უნდა იყოს და მას სხვანი უნდა ემსახურებოდნენ. რამდენი ყმაწვილი კარგავს თვისის მომეტებულის შრომით თვისს ძალღონეს, სიცხოველეს, სილამაზეს, ტყდება, უღროდ ხუცდება და სამარეში ჩადის! რაოდენი ადამიანი თრთის სიცივისაგან, წვალობს შიმშილისა გამო!—და ამ დროს კი ჩვენ გვაქვს საკმაო საზრდო, ხან-დის-ხან მომეტებულიც, თუმცა უზომო შრომას არ ვეწვეით. რამდენი ადამიანია მოკლებული თავისუფლებას, ამ დაუფასებელ საუნჯეს, დამწყვედულია ოთხ კედელ შუა მყრალ ჰაერში! ვერ სჭვრეტს იგი ვარსკვლავებით მოჭედდელ ცასა, ვერ ხედავს გამაცოცხლებელ, გამამხიარულებელ მზესა; იტანჯება სულით და ხორციით, დაშორებულია თვის ნათესავებს, ნაც-



ნობებს. აი ამ ზემოხსენებულ გარემოებებში მყოფ-  
ნი პირნი უნდა წარმოვიდგინოთ და ღმერთს შევე-  
ვედროთ, მათ მოწყალებით მოხედოს, გასაჭირისაგან  
იხსნას და მოანიჭოს ცხოვრება, ანუ ცხოვნება,  
რომელსაც თან მოსდევს ტანჯვა-წვალებათაგან  
ხსნაცა.

10) „ხსნად ჩვენდა ყოვლისაგან ქირისა, რის-  
ხვისა და იწროებისაგან უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

ღმერთსა ესთხოვთ დაგვიფაროს: 1) ქირისაგან  
—ყოველივე იმისგან, რაც წარმოშობს ჩვენში მწუ-  
ხარებას, რომელიც გვიწოდებს კეთილ სურვილს,  
გვაბრკოლებს ზნეობრივ ცხოვრებაში; 2) რისხვი-  
საგან—ყოველივე იმისგან, რაც განგვარისხებს, გაგ-  
ვაბოროტებს, ალგვაშფოთებს, რადგანაც ასეთი  
მდგომარეობა დიდად საშიშოა იმით, რომ იმაში  
მყოფი ადამიანი უფრო მეტს ბოროტებას იქმს; 3)  
და იწროებისაგან, ე. ი. ისეთ მდგომარეობისაგან,  
როცა კაცს რამე უჭირს, როცა რამე აუცილებლად  
საჭირო აკლია, და მუდამ მასზე ფიქრობს და შთან-  
თქმული ზრუნვითა მის მოპოებაზე გულმოდგინედ  
ვერ ეპყრობა თვის სულის განათლიერების საქმეს.

11) „შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალონ და  
დაგვიცვენ ჩვენ ღმერთო შენითა მადლითა“.

ეს თხოვნა თვის შორის შეიცავს მოკლე შინა-  
არსს ყველა ზემოაღნიშნულთ თხოვნათა. უმთავრესი  
საგნები ამ თხოვნებისა არის, პირველად, ცხოვრება,  
ე. ი. ღმერთთან მჭიდროდ დაკავშირება და ამით  
სულიერ ბედნიერების მოპოება, და მეორედ, გარე-  
განი, ქვეყნიური კეთილდღეობა, ხსნა ყოველ მწუ-  
ხარებისა და უბედურებისაგან. ამით ვითხოვთ ხოლ-  
მე ღვთისაგან და ვვედრებით მას შეგვეწიოს—მო-  
გვხედოს, დაგვეხმაროს, რადგან არ ძალგვიძს მხო-  
ლოდ თვისის ბუნებრივის ძალით თავი ვიცხოვნოთ,  
და თვისის მოწყალებით გვაცხოვნოს. ესთხოვთ კი-  
დეც, შეგვიწყალოს, შეგვიბრალოს და ყოველ ცუდ,  
უბედურ მდგომარეობისგან დაგვიფაროს; თუმც ჩვენ  
იმის შეწევნის ღირსნი არა ვართ, მაგრამ მაინც მან  
ჩვენი უძლურება, უღირსობა თვისის განუზომელ  
კაცთმოყვარეობით, თვისის მადლით დაფაროს. ადა-  
მიანის ბუნება იმდენად დაცემულია, ცოდვებით  
დაწყლულებულია, იმისნი სულიერნი ძალნი იმდე-  
ნად დასუსტებულნი არიან, ბოროტება იმის ძვალსა  
და რბილში იმდენად გამჯდარია, რომ მას არ შე-  
უძლია თვის თავად, თვისის ძალღონით შეებრძო-

ლოს თვისს ბიწიერ მიდრეკილებებს, ცოდვით სურ-  
ვილებს, განაძეოს იგინი თვის სულისაგან და ადგი-  
ლი მისცეს მასში სახარებისებრივ ცხოვრებასა. აქ  
იმისთვის აუცილებლად საჭიროა დახმარება ყოველად  
სახიერ და ყოვლის შემძლებელ ღვთისაგან. და თუ  
ზეციურმა მამამ მოხედა უბადრუკს ადამიანს, მსურ-  
ველს მისდამი ზეადსვლისა, მასთან შეერთებისა, და  
მოანიჭა მას თვისი ღვთაებრივი ძალა, მაშინ ეს  
ძალა იმის ბუნებრივთ ძალთა ეხმარება, აღვიძებს,  
აცხოველებს, აძლიერებს, და ასე შეერთებულის  
მოქმედებით მეფობა ბოროტებისა იმის ბუნებაში  
ირღვევა, ცოდვითნი მოთხოვნილებანი ქრებიან და  
მალალი წმიდა ცხოვრება მყარდება. რამდენადაც  
კაცი პასუხს აძლევს იმ მონიჭებულ ძალას, ემორ-  
ჩილება და მისდევს იმის ჩვენებას, იმდენად ვე  
ღვთაებრივი ძალა მასში უფრო და უფრო ღვივ-  
დება, მეტ მოქმედებას იჩენს და იმის სულს უფრო  
და უფრო ანათლიერებს, სრულყოფს და ავსებს  
მომეტებულ სიხარულითა და სიტკბოებით, ნეტა-  
რებით მოსავს. ოხ, რა ბედნიერია ის კაცი, რომელ-  
შიაც ეს ღვთაებრივი ძალა სუფევს და მოქმედებს!  
აი ამ მადლის ბოძებას ღვთისაგან ვითხოვთ მეთერ-  
თმეტე თხოვნაში.

12) „ყოვლად წმიდისა უხრწნელისა უფროსად  
კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა  
და მარადის ქალწულისა მარიამისა და ყოველთა  
წმიდათა მომხსენებელთა, თავნი თვისნი და ურთი  
ერთარს და ყოველი ცხოვრება ჩვენი ქრისტესსა  
ღმერთსა ჩვენსა შევევდროთ“.

ლოცვაში მოვიხსენიებთ, მოვუწოდებთ ხოლმე  
ყოვლად წმიდა ღვთისმშობელსა მარიამს და ყო-  
ველთა წმიდათა, რათა მათ შეავედრონ ჩვენი თავი  
უფალსა, დაგვეხმარონ ცხოველმყოფელის მადლის  
მოპოებაში, სულიერ მოთხოვნილებათა და კანონ-  
იერ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში. ეს შეწევნა  
წმიდანებისა ზეციურ მამისაგან წყალობის მოღებაში  
ისე კი არ უნდა გვესმოდეს, ვითომც ისინი თვისის  
ვედრებით მოალობდნენ უფლის გულსა, მოწყალებას  
მოანიჭებებენ, კიცისათვის, სწორედ ისე, როგორც  
ამ ქვეყანაში ხდება შუამდგომლობა კაცთა შორის;  
როცა რომელიმე პირი ვისიმეს თხოვნით ეწევა  
სხვას; არა. ასეთი მოქმედება ყოველად წმიდა, ყოფ-  
ლად სახიერ ღმერთსა არ შემშვენის. იმას ყოველნი  
ადამიანი ერთნაირად უყვარს; ის არავის არ არჩევს;

იგი მუდამ მზად არის დაუახლოვდეს ადამიანს, თუ კი ამან ისურვა. დახმარება წმიდანებისა ამნაირად უნდა გვესმოდეს. წმიდანებს ჩვენ ვსთხოვთ იქონიონ ჩვენთან მჭიდრო კავშირი, შეგვიყვარონ, რათა ამ მათის სიახლოვეთა გაციებულნი გული გაგვითბეს, ცოდვებით დამძიმებული სული აღგვიფრთოვანდეს და ჩვენს ლოცვას ღვთისადმი მეტი ძალა მიეცეს, ჩვენმა ლტოლვამ უფლისადმი მომეტებული სიცხოველე იქონიოს. თუ როგორ შეუძლიათ წმიდანებს ასეთი ზედგავლენა ჩვენზე, ამას აღვილად შევიგნებთ, თუ წარმოვიდგენთ შემდეგ მაგალითებს. სულს სულზე დიდი ზედგავლენა აქვს. ავილოთ ყმაწვილი—მოსწავლე. თუ იგი ხედავს, რომ მშობლებს, მასწავლებლებს და უმფროსებს ის მხურვალედ უყვარს, ძლიერ მოწადინებულნი არიან, რომ მან ჯეროვანი სწავლა-განათლება მიიღოს, ცდილობენ ხელი შეუწყონ იმის განვითარებას, მაშინ იგი ხალისდება, ქეზდება, სურვილი სწავლის შეძენისა უძლიერდება, მეტს გულმოდგინებას იჩენს, მომეტებულის ძალით შრომობს, და ამიტომაც სწავლის შეძენაშიც წარმატება აქვს. ანუ კიდევ. წარმოვიდგინოთ ორი ყმაწვილი. ერთი მათგანი ნიჭიერი და ბეჯითია, თანაც წყნარის, კარგის ყოფაქცევისაა; მეორე კი—ცელქი და ზარმაცია. თუ ესენი ერთი მეორეს დაუამხანაგდნენ, დაუმეგობრდნენ, მაშინ პირველი მეორეზე კეთილ გავლენას იჩენს, მასში ცვლილებას ახდენს და უკანასკნელი კარგ ყოფაქცევას იჭერს და სწავლას მუყაითად ეკიდება. ამნაირადვე ხდება წმიდანებსა და ადამიანებს შუა. წმიდანები—ღვთივ-შემოსილნი, ნათელ-მოცულნი, ღვთაებრივის მადლით აღსავსენი სულნი—ამ ქვეყანასთან კავშირს არ სწყვეტენ; მუდამ სჭვრეტენ ამ წუთისოფელში მყოფ ადამიანებს, ხედვენ მათ მოთხოვნილებათა, მათ საჭიროებათა, და, როგორც უღრმესის და უცხოველესის სიყვარულის მქონენი, მონდომებულნი არიან, რითაც კი შეუძლიათ, დაეხმარონ საწყალ კაცს და სურთ ყოველი ადამიანი დადგეს ღვთისადმი და ნამდვილ ბედნიერებისადმი მიმყვანელ გზაზე. და თუ რომელიმე ადამიანსა და წმიდანებს შუა ცხოველი კავშირი დამყარდა, მაშინ პირველი იგრძნობს წმიდათა სიახლოვეს, იმათ სიყვარულს, იგრძნობს აგრეთვე, რომ ისინი მსურველნი არიან მისი გაბედნიერებისა და ამ თვისს

სურვილს ღვთისადმი ლოცვაში ცხადყოფენ; და აი ყოველივე ამის სულიერად მხედველი ადამიანი ხალისდება, ფრთოვანდება და ზნეობრივ მალღდება. უპირველესად ლოცვაში ყოველად წმიდა ღვთისმშობელსა მოეუწოდებთ, რადგან იგი ყველა წმიდანებზე უფრო აღმატებულია სიწმიდითა, უხრწნელებითა, ანუ უმანკობითა, უბიწოებითა, და არის მშობელი მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი იმის კაცობრივის ბუნების მხრივ და ამის გამო ღმერთთან ყველაზე უფრო დაახლოვებულია კაცობრიობაში უფალი, უპირველესია და, ამიტომ იგი უფრო მომეტებულად იკურთხევის—იქებ-იდიდებას. მოეუწოდებთ რა ყოველთა წმიდათა, ვავედრებთ ჩვენს თავს, მთელს ჩვენს სიცოცხლეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესსა, რომელთან დაკავშირება იგივე ღმერთთან დაკავშირებაა, და, რომელიც ადამიანს სრულ კმაყოფილებას და ნეტარებას ანიჭებს.

დიდი კვერქის გათავების შემდეგ მღვდელი იტყვის შემდეგ სიტყვებს: რამეთუ შვენის შენდა ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამ წარმოთქმას ასამაღლებელს უწოდებენ, რადგან მღვდელი ხსენებულ სიტყვებს ხმამაღლა, ხალხის გასაგონად ამბობს; ასამაღლებელს უწოდებენ გასარჩევად იმ ლოცვებისაგან, რომლებსაც მღვდელი ჩუმად, თავისთვის კითხულობს. ამ სიტყვებით მღვდელი უფალსა სთხოვს ყოველივე ნათხოვართ შემოაღნიშნულ კვერქსში აღგვისრულოს, რადგან იგი არის ყოველად სახიერი, ანუ კეთილ მოწყალე და ყოვლის შემძლებელი; და ამ უხვ მოწყალებისათვის მას შვენის—შეფერის დიდება—ქება, პატივი და თაყვანისცემა სამუდამოდ, დაუსრულებლად. ამ ასამაღლებელის შემდეგ მგალობელნი, ანუ მედავითნე იტყვის: ამინ, რომლითაც იხატება სურვილი, რომ ნამდვილად ასრულდეს ის, რასაც ღვთისაგან ვითხოვთ.

კაჭახაძე.

(შემდეგი იქნება)

# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

კით. აქვს თუ არა ნება მღვდელს დამარხოს ექიმის და გამომძიებელის გაუსინჯავად და პოლიციის ნებადაურთველად გვამი, რომელიც მღვდლის უზიარებლად და უაღსარებოდ მოკვდა?

მაგ. მღვდელი პასუხის მგებელია დამარხვის უარზედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი საბუთები ხელთ არა აქვს (წესდ. სამედიც. პოლიც. მუხლი 708; დებულება სასჯ. გამოც. 1885 წ. მუხ. 859); თუ კი ეს საბუთები ხელთ აქვს, მაშინ არ შეუძლია დამარხოს, რომ არ დაბრალდეს ამ შემთხვევის მიზეზის დამალვა. ამიტომ, ექიმ-გამომძიებლის გაუსინჯავად და პოლიციის ნებადაურთველად, არ შეიძლება მიწას მიაბარონ: 1) გვამნი იმ გარდაცვალებულთა, რომელთა სიკვდილის მიზეზიც დიდი სიმაღლიდან გარდმოვარდნა ან საერთოდ მექანიკური ძალ-მოამრეობა იყო; 2) მოულოდნელად გარდაცვალებულთა გვამნი, რაიმე საეჭვო საქმელ-სასმელის მიღების შემდეგ, განსაკუთრებული მიზეზებით, რომელთა მიხედვითაც გვამი მოწამლულად უნდა ჩაითვალოს; 3) გვამნი გარდაცვალებულთა, რომელთა სიკვდილის მიზეზად საწამლავ ნივთიერებათა ხმარება უნდა ჩაითვალოს. 4) საზოგადოდ გვამნი იმ გარდაცვალებულ პირთა, რომელნიც სრულიად ჯანმრთელნი იყვნენ და მოულოდნელად დაიხოცნენ გაუგებარი მიზეზისა გამო; 5) ახლად დაბადებულ ბავშვთა ნაპოვნნი გაციებული გვამნი; 6) როდესაც არის ეჭვი წინდაწინ განზრახულ მკვლელობაში; 7) დასასრულ გვამნი გარდაცვალებულთა, რომელთა სიკვდილის მიზეზიც მკითხავთაგან და სხვა მატყუართაგან ექიმობა არის.

კით. აქვს თუ არა უფლება მთავარს ვერცხლის (ყელის) მენდლის მიღებისა, თუ იგი მასწავ-

ლებლად საერთო და საღმრთო სჯულის მასწავლებლად კერძოდ მსახურებდა საეკლესიო სკოლაში 10 წელიწადს?

მაგ. აქვს სრული უფლება—26 იენის 1864 წ. უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დებულების ძალით, რომელიც აღიარებს, რომ, თუ მთავრებს და მედავითნეთ 10 წლის განმავლობაში ერთგულად და სასარგებლოდ უმსახურნიათ სამრევლო და სახალხო სკოლებში, უფლება ეძლევათ ვერცხლის მენდლის მიღებისა, ალექსანდრის ლენტეხედ,—ყელზედ სატარებლად; ეს უფლება რომ სამრევლო სკოლებში მასწავლებელ პირთ ეძლევა, —სჩანს ამ მენდლებით დასაჩუქრებულთა სიებისაგან, რომელნიც „საეკლესიო უწყებაში“ იბეჭდებიან ხოლმე.

კით. მოვალეა თუ არა მღვდელი, მიცვალებულს შემოსილი ადგეს თავზედ და ყველა მიმსვლელ მომტირალს საცეცხლოურის კმევით ეგებებოდეს?

მაგ. სწორედ ახირებული კითხვაა! ჩვენ არ გვჯერა, რომ კიდევ საჭირო იყოს განმარტება იმის შემდეგ, რაც დაიწერა და გამოცხადდა ამ კითხვის შესახებ!..

კით. დრამის ფულის გარდახდევინება უკანონოა ხომ არ იქნება იმ მრევლისაგან, რომელიც აღსარებითი სიაში სოფელში მრევლად სწერია, მაგრამ ნამდვილად კი რომელიმე ქალაქის მოქალაქედ არის შერიცხული?

მაგ. მღვდლის დრამის, ე. ი. საზრდოს გარდახდევინება, ყველას ვალია. თუ მრევლი მღვდელს საჭიროებს, დრამაც უნდა მისცეს. ძლიერ შემცდარი არის ვინც ფიქრობს, რომ საპატრიო მოქალაქის და მოქალაქეთა წოდება ვალდებულად ხდიდეს მღვდელს, მუქთად ემსახუროს ამ პირთა.

კით. შეუძლია თუ არა მრევლის მღვდელს, ეკლესიის საშუალებით დაიქირაოს ხოლმე მგალობლები წირვა-ლოცვის დროს?

მაგ. თუ კი შეძლება აქვს ეკლესიას, რასაკვირველია, შეუძლია ცოტა რამ მისცეს მგალობლებს ეკლესიის შემოსავლიდან. ყოველ შემთხვევაში მღვდელი უნდა დაეკითხოს სასულიერო მთავრობას.



# საჭირო კალენდარული ცნობაჯანი.

თ თ გ ე ნ ა.	რ ი ც ხ.	კ ვ ი დ.	ს ე მ ა.	ს ა ც ხ.	თ თ გ ე ნ ა.	რ ი ც ხ.	კ ვ ი დ.	ს ე მ ა.	ს ა ც ხ.
იანვარი.	5 31	6 9	12 32	7 10	ივლისი.	6 6	5 6	13 7	6 7
	19 33	8 11	26 34	1 1		20 8	7 8	27 9	8 9
თებერვალი.	2 35	2 2	9	3 3	აგვისტო.	3 10	1 10	10 11	2 11
	16	4 4	23 1	5 5		17 12	3 1	24 13	4 2
მარტი.	2 2	6 6	9 3	7 7	სექტემბერი.	31 14	5 3	7 15	6 4
	16 4	8 8	23 5	1 9		14 16	7 5	21 17	8 6
	30 6	2 ლ				27 18	1 7		
აპრილი. ად.	6 1	ლ ლ	13 2	2 1	ოქტომბერი.	5 19	2 8	12 20	3 9
	20 3	3 3	27 4	4 4		19 21	4 10	26 22	5 11
მაისი.	4 5	5 7	11 6	6 8	ნოემბერი	2 23	6 1	9 24	7 2
	18 7	7 10	25 8	1 ლ		16 25	8 3	23 26	1 4
ივნისი.	1 1	8 1	8 2	1 2	დეკემბერი.	7 28	3 6	14 29	4 7
	15 3	2 3	22 4	3 4		21 30	5 8	28 31	6 9
	29 5	4 5			იანვარი.	1 32	7 10		

# ბანსხალეზანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1903 წლისათვის ორ-  
კვირულ გამოცემათა ძარბულს

## „მწყემს“-ზე

ღ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „რუსული“ 3 მ.	— „რუსული“ 2
— „ორივე გამოცემა“ 3	— „ორივე გამოცემა“ 3

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ვეიდალში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ღამბაშიძესთან, თბილისში წერა-კითხვის გამავრცე-  
ლებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩაში შეილთან. ახალსენაკში — ბლაღოჩინ ძამა არ.  
კალანდარი შეილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეტები დაეთმო-  
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.  
რედაქცია იმყოფება დ. ვეიდალში რედაქ-  
ტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ  
ამ აღრესით: ВЪ Квирилы, въ редакцію газеты и  
журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-  
დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-  
ნიც ნახევარ ფასად დაეთმოება მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა  
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-  
თალოგი დრო-გამოშვებით ქურნალში და ც ი ბ ე კ დ ე ბ ა  
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

დაბდეკ 1903 წლისათვის  
მიიღება ხელის მოწერა

## „მოამბე“-„ცნობის-ფურცალზე“

სურათებიანი დამატებით კვირაში ორჯელ  
ყოველ თვიური ქურნალი

## „მ რ ა მ ბ ე“

(წელიწადი მეთე)

ფასი ქურნალის გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 10 მან.,  
6 თვით 6 მ. 3 თვით 3 მან. სამზღვარ-გარეთ: ერთი  
წლით 13 მან. 6 თვით 7 მან. სამი თვით 5 მან.

ყოველ დღიური გაზეთი

## „ცნობის ფურცალი“

ორის სურათებიანის დამატებით  
(წელიწადი მერვე)

გაზეთის ფასი გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლით 6 მ.  
6 თვით 4 მ. 1 თვით 75 კაპ., სამზღვარ-გარეთ:  
ერთი წლით 9 მან., 6 თვით 5 მ., 1 თვით 90 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელი წლით გამოიწერს,  
„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით  
უფასოთ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გა-  
საგზავნ ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატოს 1  
მან., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას  
შემოტანილ.

წლიური ფასის განაწილება ორივე გამოცემაზე:  
პირველად 6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის,  
და 5 მ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მან.,  
1-ლ აგვისტომდე—3 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუ-  
ჩაზე. ტელეფონი № 372

აღრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію  
„Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო  
ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა 1903 წელსი ყოველ კვირაში ერთხელ  
გაფართოვებული პროგრამით ერთიდან სამ თაბა-  
ხამდე.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან.,  
ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლით გაუ-  
გზავნელად 3 მან. და 50 კაპ. გაგზავნით 4 მანეთი.  
სამი თვით 2 მან., თითო ნომერი სამ შაურად.

ხელისმომწერლებს წლის ფული შეუძლიათ  
ნაწილ-ნაწილად გაპოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში «წერა-კით-  
ხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში»  
(სასახლის ქ., სათაყვან-ან. ქარე.), რკინის გზის  
სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარ-  
ტიშვილთან და თვით «კვალის» რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ.  
ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; და ქუთაისის  
გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათუმში სპ.  
ქელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ხანაღ-  
სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში,  
ჭიათურაში—კალ. ჭიჭინაძესთან და გ. ბერიძესთან;  
ყვრილაში ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—  
სახალხო სამკითხველოში; ძველ სენაკში არსენ  
წითლიძესთან; ოზურგეთში დომენტი შავიშვილთა;  
საბუნჩაში დიმ. მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“  
3—3

# „იმპერია“

გამოვა 1903 წელს

იმავე სივრცით და შროგზამით, როგორც წინეთ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში: „ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა  
ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-  
კითხვ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზია  
(სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა).

ქუთაისში: ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მა-  
ღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომცემელ ამხანა-  
გობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილა-  
ძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში,  
და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუსთან.

ბაქოში: ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის  
ქუჩა, ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

საბუნჩაში: პეტრე მაჭავარიანთან.

შოკაშანში: პართენ ნასიძესთან.

განჯაში: სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში: ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ.,  
მეოთხეზედ—5 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალ-  
კე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція  
«Иверія».

3—3

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

წელიწადი 80-14-ბა

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე

პროგრამით, როგორათაც აქამდე

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულთა ტფილისის  
საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო  
რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში  
საკითხავად.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით  
ელირება—4 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 5 მან.  
ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახე-  
ვარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში — «წერა-კითხ. გამ. საზოგადოების»  
კანცელარიაში და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში  
(არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო).  
ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію  
грузинскаго дѣтскаго журнала «Джеджили».

3—3

# სასარგებლო ცნობანი

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 სალამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქას:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 სალამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყაზვს:—1) საფოსტო № 70/71 სალამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.), 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილავოსა და ბაქაჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქა-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 სალამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შარანასამდე: სალამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.).

### გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 სალამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქა-ტფილისისაკენ:—ლამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ლამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) სალამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შარანასისაკენ:—ლამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

### ე) ფოთიდან გამოდის:

რაინ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქამდე:—სალამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და სალამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

ყვირილაში მოდის ბათუმიდან:

ფოსტის მატარებელი ნაშუალამევის 4 საათსა და 18 წამზე.

სახალხო მატარებელი—ნაშუადღევს 2 საათსა და 18 წამზე.

საგარაკო მატარებელი მოდის ქუთაისიდან და ბათუმიდან დილის 6 საათსა და 6 წამზე.

სალამოით—5 საათსა და 28 წამზე.

გადის ყვირილიდან ფოსტის მატარებელი ნაშუალამევის 3 საათსა და 30 წამზე.

სახალხო—სალამოით 4 საათსა და 25 წამზე.

საგარაკო—დილით 7 საათსა და 8 წ.

სალამოით—7 საათსა და 20 წ.

# ქუთაისში

ს. შ. ბ. თოფურიას

ს ა ა ვ ა დ მ უ ო ფ ო უ ი,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის ჰრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახი-რურგო, დედაბა და თვალთ ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою 25 января 1903 г.

Типог. редакції журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.